საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 18 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნიხთა განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 263 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 263

ღრმად დამწუხრებული დედა მელანია, და ნინა და ძმა ვასილი ბაბიკაშვილები; ქმარი ივანე ტატიშვილი და დეიდა ეკატერინე ელისაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს გარდაცვალებას

**ოლია ბაბიკაშვილი—ტატიშვილისას**

გამოსვენება დღეს, შუადღის 12 საათ. პეტრე დიდის ქ. სახლი ელისაშვილებისა № 26. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნინა ნიკოლოზის ასული. მამა ნიკოლოზ გიორგის ძე, ძმები: პლატონი და გიორგი, დები: ლიუბა, თამარა, მარგარიტა და ნეოლინა ტყეშელაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველნი ძვირფასი შვილისა და მეორენი დაუვიწყარი ძმის

**დავით ნიკოლოზის ძე ტყეშელაშვილის**

გარდაცვალებას. გამოთხოვების დღეთ დანიშნულია 20 ნოემბერი (ახ. სტ.) დღით ხუთშაბათს, დილის 9 ს. ს. ყვანთაში. (ფ. 1—1)

გაუბედურებული მეუღლე თედორე, დატანჯული შვილები: აგრაფინა, ვერიჩკა, გულჩინა, ევგენია, ვალიკო და ვახტანგი კეშელავები, დედა ფატმანე, მამა ეფრემ, ძმები: გიორგი და დომენტი, დები: ჟოზეფინა, ნარიობა და ზინა უშვერიძენი, დედამთილი რუსუდანი, მაზლი სოლომონი, რძლები და მულები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ 22 ნოემბერს ნანეიშვილისსეულში (გურია) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი, უდროოდ გარდაცვალებულის და მათთვის უძვირფასესი ადამიანის

**ნატალია კეშელავას**

სულის მოსახსენებლად. (3024 1—1)

სამტრედიის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით აცხადებს ხმოსნის

**მოსე გლახუნის ძე ბერძენიშვილის**

უდროვოთ გარდაცვალებას, რომლის გასვენება სამტრედიიდან დ. ჩოხატაურში დანიშნულია 18 ნოემბერს დღით სამშაბათს დილის 10 ს. დასაფლავება ოთხშაბათს, 19-ს ნაშუადღევის 3 ს. (3025 2—1)

სამტრედიის ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქცია გულითადის მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს თავისი დაუღალავი წევრის

**მოსე გლახუნის ძე ბერძენიშვილის**

უდროვოთ გარდაცვალებას, რომლის გასვენება ქალ. სამტრედიიდან დ. ჩოხატაურში დანიშნულია 18 ნოემბერს დილის 10 ს. დასაფლავება ოთხშაბათს 19-ს ნაშუადღევის 3 საათზე. (3025 2—1)

სამტრედიის ქალაქის გამგეობა გულითადი მწუხარებით აცხადებს ქ. სამტრედიის საბჭოს ხმოსნის

**მოსე გლახუნის ძე ბერძენიშვილის**

უდროვოთ გარდაცვალებას, რომლის გასვენება ქ. სამტრედიიდან დაბა ჩოხატაურში დანიშნულია სამშაბათს, 18 ნოემბერს, დილის 10 საათზე. დასაფლავება—ოთხშაბათს, 19 ნოემბერს, ნაშ. 3 საათ. (3035—2—1)

პლატონ მარკოზის ძე სტურუა და მეუღლე ეკატერინე ასლანის ასული შვილე ბითურთ თამარა და ელენათი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას ნათლიას

**მოსე გლახუნის ძე ბერძენიშვილის**

უდროვოთ გარდაცვალების გამო. (3025—1—1)

ქ. სამტრედიის ქალაქის ს. დ. მ პ. ძირითადი ორგანიზაცია უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს, თავისი წევრის, ამ ორგანიზაციის ერთ დამაარსებელთაგანის, დაუღალავ მუშაკის და საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლის ამხ.

**მოსე გლახუნის ძე ბერძენიშვილის**

უდროვოთ გარდაცვალების გამო. გამოსვენება მოხდება ქალ. სამტრედიიდან დ. ჩოხატაურში სამშაბათს 18 ნოემბერს. დაკრძალვა მოხდება დ. ჩოხატაურში წმინდა გიორგის ეკლესიაზედ ოთხშაბათს 19 ნოემბერს. (3025—2—1)

ქ. სამტრედიის საქ. სოც. დემ. მ. პ. ორგანიზაციების კომიტეტი უღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს სასიქადულო ამხანაგის

**მოსე გლახუნის ძე ბერძენიშვილის**

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება ქალაქ სამტრედიიდან დაბა ჩოხატაურში მოხდება სამშაბათს 18 ნოემბერს დილით 10 საათზედ. დაკრძალვა მოხდება დ. ჩოხატაურში წმინდა გიორგის ეკლესიაზედ ოთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზედ. (3025—2—1)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მარუსია დავითის ასული ბერძენიშვილისა, სიდედრი ქრისტინე მიხეილის ასული ძიძიგურისა, ცოლის ძმები სილევან და ვლადიმერ ძიძიგურები, ცოლის და ტერეზი დავითის ასული კომახიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი მეუღლისას, მეორენი და მესამენი ძვირფასი სიძის

**მოსე გლახუნის ძე ბერძენიშვილისას**

რომლის გამოსვენება მოხდება ქ. სამტრედიიდან 18 ნოემბერს, დღით, სამშაბათს დილის 10 საათზე. წაასვენებენ დაბა ჩოხატაურში. დაკრძალვა მოხდება 19 დღის 3 საათზე წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. (3025—2—1)

ქ. სამტრედიის კოლექტივი საქ. ს. დ. მ. პარ. დიდის მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს გულშემზარავ ამბავს, პარასკევს 14 ნოემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიის საუკეთესო წევრი და დაუღალავი მუშაკი

**მოსე გლახუას ძე ბერძენიშვილი.**

გამოსვენება ქ. სამტრედიიდან დ. ჩოხატაურში მოხდება სამშაბათს 18 ნოემბერს. დაკრძალვა მოხდება დ ჩოხატაურში ოთხშაბათს 19 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაზე. (3025—2—1)

საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის დრამატიული ხტუდია.
არტისტიული საზოგადოების
**თ ე ა ტ რ ი**

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 19, 1919 წ. საღამოს 8 საათზე

ედ. როხტანი

**თეთრი ყახშამი**

ერთ მოქმედებად.

ბრიო

**სარწმუნოება**

პიესა 2 მოქმედებად.

პიესისათვის დამზადებულია ახალი დეკორაციები და კოსტიუმები.
რეჟისორი გ. ჯაბადარი.
რეჟისორის თანაშემწე გ. ერისთავი.
ბრბოს ხელმძღვანელი შ. ბერიშვილი.
(ნ. 3—2) მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება.

ს. ს. დ. მ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტი ამით აუწყებს მაზრის ყველა საზოგადოებათა .ს. დ. ორგანიზაციებს, რომ 20 ნოემბერს, ქ. სენაკში მოწვეულია

**სამაზრო პარტიული ყრილობა**

დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი; 2) მოხსენება სამ. კომიტეტის მუშაობის შესახებ; 3) მოხსენება ადგილებიდან; 4) მოხსენება სხვადასხვა დაწესებულებებში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებისა; 5) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 6) ორგანიზაციულ კითხვები; 7) პარტიის გაწმენდა; 8) მიმდინარე კითხვები; 9) კომიტეტისა და სარ. კომისიის არჩევნები.
(უფ. 3—3) ს. ს. დ. მ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტი.

15 აგვისტოს ოჩემჩირეში მოვაჭრე

**ისიდორე ზამთარაძე**

წავიდა ბათუმში სავაჭრო საქმეებისთვის. შემდეგ არ დაბრუნებულა. არ ვიცით სად იმყოფება. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ სად წავიდა და შემთხვევით ნახა სადმე, ვთხოვთ აცნობოს ოჩემჩირეში ქალაქის გამგეობას. (2988—5—4)

უოველივე უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად

**ლატარიის გამგეობა**

ამით აცხადებს იმ აგენტების და კომიტეტების საყურადღებოდ, რომელთაც ჯერ კიდევ ანგარიში არ წარმოუდგენიათ, დაუყონებლივ გაასწორონ ანგარიში, რათა ლიკვიდაციის საქმე არ შეფერხდეს (ნ. 2—1)

## საკითხთა საკითხი

საშინელია და სასტიკ ხანას განიცდის ქვეყნიერება. რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი და მრავალნაირი უბედურებანი ტრიალებდა და დღესაც ტრიალებს; და რასაკვირველია მოვლენათა გამოსახატავათ კაცობრიობის ყოველდღიურ ლექსიკონშიც წაღმა-უკუღმა ტრიალებს ძლიერი სიტყვები „საშინელება", „საფრთხე", „უფსკრული" და სხვა ამგვარი. ასეთ სიტყვათა მჭრელობა და სიძლიერე თითქოს მოდუნდა, მოჩლუნგდა, სმენა და გრძნობა უკვე შეეჩვია. სიტყვებმა დაკარგეს თავის ძალა. თითქოს აღარ არსებობს განგაშის ამტეხი ძლიერი სიტყვა და ამიტომ გვეძნელდება მოვნახოთ ის მკვეთრი სიტყვა, რომელიც გამოხატავს მომავალ საშინელ საფრთხეს. დავუძახოთ მას კატასტროფა, მაგრამ არა ის კატასტროფები, რომელიც ამდენ ხანს იყო. არა, ეს კატასტროფათა კატასტროფაა, ის, რაც ჩვენ მოგველის, საფრთხეთა საფრთხეა. ჩვენ კიდევ წლევანდელ მოუსავლობის და არა მომავალ, არამედ უკვე დაწყებულ, შიმშილობის შესახებ მოგახსენებთ. რესპუბლიკა საშინელ კატასტროფის წინაშე სდგას. ჩვენ წინ უფსკრულია. შიმშილი უკვე დაიწყო. ამ დღეებში ერობათა სასურსათო თათბირი მოხდა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შიმშილის აჩრდილი კი არა, ნამდვილი შიმშილი უკვე იწყება და დაიწყო რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეებში. მრავალ ადგილას იმოდენი ხორბალიც კი არ მოსულა, რომ სათესლეთ ეყოს. შორაპნის მაზრის ზოგ ადგილებში გლეხმა უკვე დაფქვა და შესჭამა წლევანდელი მოსავალი. ჯერ რთველი თითქმის არ დამთავრებულა და ზემო რაჭაში უკვე შიმშილი იწყება. სხვის მარჩენალ ზუგდიდის მაზრას მხოლოდ რამდენიმე თვე თუ ეყოფა საკუთარი მოსავალი. კიდევ უარეს მდგომარეობაშია სვანეთი—იქ მოსავალი თითქმის სრულიად არ ყოფილა. მაგრამ შემზარავი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ სვანეთის თერთმეტი საზოგადოება თოვლის გამო უკვე მოსწყდა რესპუბლიკას და მისაწოდებელი რომ ვიშოვოთ, თვით მიწოდება ჯოჯოხეთურ სიძნელეს წარმოადგენს. მხოლოდ ზუგდიდის მაზრიდან ზურგითა და თხილამურით თუ არა, სხვაფრივ შეუძლებელია სურსათის შეტანა. თუ ეს არ მოეწყო, მთის საპყრობილეში მომწყვდეულ ხალხს შიმშილით გაწყვეტა მოელის. რაჭველები შარშან თურმე ღვინის თხლეს (ლექს) აცხობდენ და იმას სჭამდენ. საძაგელი სუროგატიაო, ამბობენ, ვისაც უნახავს ეს საკვები. წელს ესეც არ გვექნებაო, ნაღვლიანათ ამბობენ რაჭველები, რადგან არც ღვინის მოსავალი გვაქვსო.

მთავრობისა და ყველა ორგანიზაციების მთელი ენერგია და შემოქმედება უნდა მოხმობილ იქნას დაუყონებლივ, რათა ეს ერის არსებობის კითხვა გადაწყდეს და მოგვარდეს. თითოეულმა ორგანომ, ჯგუფმა, კლასმა, მოქალაქემ ეხლავ უნდა ეცადოს და ემზადოს, რათა პირნათლათ გასცეს პასუხი ისტორიის სამართალს, როდესაც მას კითხავენ: „რა და როგორ აკეთე, როდესაც რესპუბლიკა დიდი ისტორიული განსაცდელის წინაშე იდგაო?" არა მარტო მომარაგების სამინისტრო, არამედ მთელი მთავრობა, ყველა უწყება, სახელდობრ და ხაზგასმით საგარეო სამინისტრო, მუდამ უნდა უტრიალებდეს ამ საქმეს ირგვლივ. რესპუბლიკას არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს საკუთარი სახსრით გამოკვება. სურსათი უცხოეთიდან უნდა იქნას შემოზიდული. სურსათის საკითხი ჩვენში საერთაშორისო პრობლემის ხასიათს ღებულობს. მდგომარეობა ბევრ რამეს ავალებს ამ სფეროში საგარეო სამინისტროს. ფუჭია და ოხერი ყველაფერი, თუ პირველყოვლისა ეს საქმე არ მოგვარდა. სურსათის საქმე დიდ მნიშვნელოვანი საკითხია მთელი ევროპის, რუსეთის და ჩვენს ცხოვრებაშიაც. ასეთი მდგომარეობა არაა ახალი ამბავი, მას უკვე რამოდენიმე წლის ისტორია აქვს; მაგრამ დღეს კი ჩვენში სასურსათო კრიზისის გამომწვევ საზოგადოებრივ მიზეზებს სტიქიურიც—საშინელი მოუსავლობაც თან დაერთო.

მრავალი მეტათ ძნელი და თავსამტვრევი საკითხები სდგას საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის წინაშე, მაგრამ შიმშილის საფრთხე, გამოკვების საკითხი დღეს ჩვენთვის ერთი უმთავრეს საკითხთაგანი კი აღარ არის, არამედ ის ყველაფერია—ის საკითხთა საკითხია.

## საშწუხარო ცნობა

ერევნიდან მიღებული ცნობით სომეხ-თათართა შორის კვლავ დაწყებულა ბრძოლა. თუ წინათ ერთი მეორეს ქლეტდენ ბანდები, ახლა ბრძოლას აწარმოებენ რესპუბლიკის მთავრობები და ომში მონაწილეობას იღებენ რეგულიარული ჯარები. მაშინ, როცა ომისა და რევოლიუციის მიერ აწეწილ-დაწეწილ ცხოვრების მოწესრიგება ასე დაჟინებით ითხოვს ყველა მომქმედი ძალების მობილიზაციას და მათ კულტურულ აღმაშენებლობითი მუშაობაში ჩაბმას, ჩვენი მეზობლები ერთი-მეორის ქლეტას უდგება და ისედაც განადგურებულ ქვეყანას ზარბაზნების ალში ფერფლავს.

მოსალოდნელი იყო, რომ ადერბეიჯანი და სომხეთი იცნობდენ და აღიარებდენ იმ ერთად ერთ საღ პრინციპს სადაო საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც მიიღო ჩვენმა მთავრობამ. ესაა ყველა კითხვების მოლაპარაკებით და შეთანხმებით გადაწყვეტა. სამწუხაროთ ეს არ მოხდა და სომხეთ ადერბეიჯანის მინდვრები კვლავ სისხლით ირწყვება.

სომხეთ ადერბეიჯანის მესვეურებმა ვერ შეიგნეს ის უდავო ჭეშმარიტება, რომ პატარა ერების არსებობა ერთავად და სავსებით დამოკიდებულია ურთიერთის დათმობაზე და სოლიდარობაზე. რომ მათი ინტერესები ისეა ერთმანეთში ჩაქსოვილი, რომ დაცემა ერთი მათგანის—ნიშნავს დაღუპვას მეორესი.

ეს ვერ შეიგნო „პატარა ქვეყნის პატარა კაცებმა", რომლებიც სათავეში მოექცა ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებს და აი ჩვენ ვხდებით მოწამე იმ უაზრო ბრძოლისა, რომელიც დაიწყო ზანგეზურში.

ზანგეზურის ამბები, უეჭველია, ფართე ხასიათს მიიღებს, თუ მას დროზე არ მოეღო ბოლო. ამიტომ ორივე რესპუბლიკის მოწინავე დემოკრატიის ვალია არ დაზოგოს შრომა და ენერგია, რომ დაწყებული ბრძოლა რაც შეიძლება მალე შესწყდეს.

ადერბეიჯანს და სომხეთს შორის არ არსებობს ისეთი საკითხი, რომლის გადაჭრა არ შეიძლებოდეს მოლაპარაკებით. ამიტომ შეთანხმების მაგიერ ზარბაზნების გრიალი—ეს არის უდიდესი ისტორიული დანაშაულობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე, ამ დანაშაულს არ აპატიებს არავის ისტორია, მარა სანამ ეს მოხდებოდეს, ახლავე უნდა იქნას მიღებული ყოველივე ზომები, რომ ბრძოლა შეწყდეს და ყოველგვარი დავა მოლაპარაკებით გათავდეს.

უნდა ვიფიქროთ, ორივე რესპუბლიკის დემოკრატია იგრძნობს იმ საფრთხეს, რომელსაც უქადის მათ დამოუკიდებლობას, მათ თავისუფლებას ეს უაზრო ბრძოლა და შეეცდება მის სასწრაფოთ ლიკვიდაციას. განი.

## დამფუძნებელი კრება

14 ნოემბრის სხდომა.
(გაგრძელება)

**ამხ. ზიგზიკორის სიტყვა.**

ბატონებო! ის ჯგუფი, რომლის წარმომადგენლათ თქვენ ახლა მოგევლინათ ბ. კედია, საზოგადოთ ერთ რამეს ტრაბახობს, ის თავის თავს უწოდებს, მეტი რომ არა ვსთქვათ ერთად-ერთ სახელმწიფოებრივ ჯგუფს და ერთი სიტყვა, რომელიც მუდამ მათ აკერიათ პირზე, ეს გახლავთ „დარაჯი ქვეყნისა და სამშობლოსი". და მე უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ვერც ერთი დარაჯი თავისი სამშობლოსი ვერ წარმოსთქვამდა ისეთ სიტყვას დღევანდელ მომენტში, როგორიც წარმოსთქვა ბატ. სპ. კედიამ (ურატაძე: „მართალია"), ის თქვენს წინაშე ლაპარაკობს ისეთ რამეზე, რომელსაც არსებითად არავითარი არა აქვს იმ ხელშეკრულებასთან, რომელიც თქვენს წინაშე არის წარმოდგენილი. მე შევცდი, როდესაც ვსთქვი, რომ არავითარი კავშირი არა აქვს მეთქი, საერთოდ ვერც ერთ მოვლენას ვერ ნახავთ, რომელსაც რაიმე კავშირი არ ჰქონდეს მეორე მოვლენასთან. (შენგელაია: ფიზიკაშიც ასე არის) დიახ, ფიზიკაშიც ასე გახლავთ.

უნდა ავღნიშნო თქვენს წინაშე, რომ ის საკითხი, რომელიც მან აქ წამოაყენა, შეიძლება შედეგათ მოყვეს ამ ხელშეკრულებას, იქნეს საგნათ თქვენი განხილვისა შემდეგ, მაგრამ ის ხელშეკრულება, რომელიც წარმოგიდგინათ, სრულებით არ ლაპარაკობს იმაზე, რაზედაც აქ ლაპარაკობდა სპირიდონ კედია. მან განაცხადა, რომ თითქოს ეს ხელშეკრულება სადაოთ აცხადებს განსაზღვრულ ტერიტორიას ჩვენი რესპუბლიკისას ჩვენ და სომხეთის შორის. მე ვლაპარაკობ, რომ ეს სრულებით ასე არ გახლავთ, პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კითხვის ისე დასმა, როგორც ის დასვა კედიამ, დიდ ვნებას მოუტანს ჩვენს სახელმწიფოს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ ხელშეკრულებით არავითარი ჩვენი ტერიტორია სადაოთ არ არის გამოცხადებული (კედია: ტერიტორიას ეხება ის, რაც მომხსენებელმა სთქვა) სრულებითაც არა, ის ეხება ყოველგვარ სადაო საკითხს (კედია: ვიცით რაც არის, პირდაპირ უნდა ვსთქვათ) თუ იცით უნდა სთქვათ ის, რაც იცით და არ ილაპარაკოთ იმაზე, რაც სურვილათ მოგივათ.

ის პრინციპი, რომელიც ხელშეკრულებაში არის წამოყენებული, კედიას მისალებათ მიაჩნია ყოველ დროს და ყოველ სივრცეში და ამავე დროს წარმოსთქვა ისეთი სიტყვა, რომელიც ძირიან ფესვიანათ უარყოფს და ასამარებს ამ პრინციპს. სად არის აქ ლოღიკა, სად არის პრინციპიალობა! ჩვენ ვლაპარაკობთ შემდეგს: მართალია არის ისეთი საკითხები, რომელიც არ გახდება და ვერც გახდება საგნათ [არბიტრაჟისა, მაგრამ ამისთვის არსებობს არა ისეთი სიტყვა, რომელიც აქ იხმარა კედიამ, არამედ კეთილ სინდისიერი განწყობილება და ურთიერთობა ორ მეზობელთა და ორ სახელმწიფოთა შორის (კედია: „არა ჩვენს ხარჯზე ყოველთვის"), მაშინ, როდესაც ერთი მხარე მოინდომებს პირადათ ისარგებლოს იმ პრინციპით, რომელიც დღეს უკვე მთავრობის მიერ არის აღიარებული, როგორც დემოკრატიული პრინციპი, ასეთ საქციელს დაგმობს მთელი მოწინავე ევროპა და ამასთანავე წინააღმდეგობა შეხვდებოდა ჩვენშიაც, მაგრამ სანამ ასეთ ფაქტთან საქმე არ გვაქვს, სანამ ცხოვრებამ ეს კითხვა არ დაგვიყენა რისთვის „დარაჯმა" რესპუბლიკისამ უნდა აღიაროს ქვეყნის წინაშე, რომ ეს საკითხი სადაო საკითხათ არის გამოცხადებული, მაშინ, როდესაც ამის საფუძველი არა გაქვთ. ნურავინ ნუ ისარგებლებს იმით, რომ შესაძლებელია ჩვენ დღევანდელ დროს, დღევანდელ მომენტში ვერ წარმოვადგინოთ მთელი ის არგუმენტაცია, რომელსაც წარმოვადგენთ შემდეგ, როცა ამის დრო დადგება (კედია: ჩვენ ცოტა რამ ვიცით იქიდან) იმიტომ რომ ასეთი მდგომარეობით სარგებლობა მე არ ვფიქრობ ლაღადებდეს ბ. კედიას და მის ჯგუფის ჯენტლმენობაზე (კედია: ეს სადაო არის, ბატონო).

არის ორი გზა სადაო საკითხების გადასაჭრელათ, მესამე გზა არ არსებობს. სადაო საკითხები ან მორიგებით, ურთიერთის შეთანხმებით უნდა გადიჭრას, ან იარაღით ხელში, ბრძოლით. ჩვენ კი მუდამ, მთელი ჩვენი პოლიტიკით, ჩვენს მოქმედებაში თავგამოდებით ვიცავდით—პრინციპს სადაო კითხვების მორიგებით გადაწყვეტისა. (კედია: რეალურათ რა მიიღეთ?) მე არ ვიცი რომელ ზომებზე ლაპარაკობს ბ. კედია, ყოველშემთხვევაში უნდა ვაღიარო, რომ ის მთავრობა, რომელიც დღეს დღეობით პასუხისმგებელია ქვეყნის და დამფუძნებელი კრების წინაშე, ამ მთავრობას აქვს უფლება პოლიტიკური და მორალური, რომ მან დღეს დღეობით რეალურათ დაიცვა ჩვენი ქვეყნის და სამშობლოს ინტერესები (ტაში). რაც შეეხება თქვენს განცხადებას, მხოლოდ ლამაზი სიტყვები გვესმის (ჟულელი: „არც ლამაზია"). რას მოგვიტანს ეს ხელშეკრულება, რას მისცემს ის ჩვენს ხალხს? მე მგონია, რომ ერთ რამეს: პირველი, რომ მართლაც მთელ დემოკრატიულ ევროპის თვალში ჩვენი ხალხი და რესპუბლიკა იქნება აღიარებული, როგორც მოწინავე რესპუბლიკა, რომელიც მატარებელია კულტურული და

# დღეს

ბოლშევიკების ცნობით, მათმა ჯარმა ქალაქი ომსკი აიღო.

გერმანული პრესის ცნობით, საბჭოთა მთავრობა საფრანგეთის ყველა ვალების პასუხის მგებლობას კისრულობს.

გალიციაში დემონსტრაციები ხდება სიმშილობის ნიადაგზე.

მოხალისეთა ჯარმა მოგილევის ჩრდილო დასავლეთით ვენდიჩანი და ქალ. იარიშევი დაიჭირა.

ამერიკული პრესის ცნობით ვენაში სურსათის დიდი კრიზისია.

პარიზში მოელიან გერმანიის დელეგაციას; რომელმაც ხელი უნდა მოაწეროს იმ ოქმს, რომელშიაც აღნიშნულია დროებითი ზავის პირობები.

ფრანგული პრესის ცნობით ასტრახანის, კალუგის და მოსკოვის გუბერნიებში ბოლშევიკების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებებია.

პროგრესიული პრინციპებისა. და ამის ფაქტი ჩვენ უკვე გვაქვს. არც სულს და არც გულს ბ. კედიისას ინგლისის წარმონადგენელის და ამერიკის განცხადება არაფერს არ ელაპარაკება. მაგრამ მე მგონია, რომ ხალხი და დემოკრატია ასეთ სიტყვას შესაფერ შინაარსს აძლევს და როგორც შესაფერ ღირებულებას, ღებულობს. ბ. კედიას განცხადება, რომ დამფუძნებელ კრებას არა აქვს უფლება მისცეს მთავრობას „კარტ-ბლანში“, რომ მთავრობამ მოაწყოს საქმე ისე, როგორც სასურველია, არ ვიცი, რომელ მუხლიდან გამოიტანა ბ. კედიამ ასეთი უფლება? მაშინ, როდესაც კონკრეტიულ ნაბიჯს გადავდგამთ ამ ხელშეკრულების მიხედვით, მაშინ გექნებათ უფლება სთქვათ, გადავდგით თუ არა ჩვენ ისეთი ნაბიჯი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხის ინტერესებს. აი მაშინ შეგეძლებათ წარმოსთქვათ ის სიტყვა, რომელიც დღეს წარმოსთქვით. ერთი რამ საგულისხმო არის: თუ მართლაც ეს პრინციპი არ იყო მისაღები დღეისათვის, სად იყავით, როცა ხელს აწერდით ასეთივე ხელშეკრულებას ადერბეიჯანთან? მიპასუხეთ, განა ასეთივე ხელშეკრულებას სხვა სახელმწიფოსთან არ მოაწერეთ ხელი? (კედია: იქ ასე არ იყო) სრულიად სიტყვა-სიტყვით განმეორებულია პირველ მუხლში ის, რასაც თქვენ დღეს იხილავთ მოქალაქენო! სად იყო მაშინ ბ-ნი კედია და მისი არგუმენტაცია? თუ ეს ასე არ არის, მე მოვითხოვ გამოვიდეს ბ-ნი კედია აქ, დამიმტკიცოს წინააღმდეგი, მე კი ვამტკიცებ, რომ ასეთივე ხელშეკრულება იყო ხელმოწერილი. დახასიათებას ამ ფაქტს მე არ ვაძლევ, მაგრამ ეს ფაქტი დიდათ მნიშვნელოვანი არის. თავის თავად ეს ფაქტი იძლევა იმ საშუალებას, რომ ხალხს აუხილს თვალს და ერთხელ კიდევ დაანახვებს თუ რა პოზიციაზე დგას ბ-ნი კედია და მისი პარტია და რა პოზიციაზე—მთავრობა და დამფუძ. კრების უმრავლესობა. ჩვენი შეხედულობით ერთა სოლიდარობა არის ერთად ერთი გზა, რომელიც ქართველ ხალხს, საქართველოს რესპუბლიკას მისცემს საშუალებას მთელი თავისი ძალა მოახმაროს ხალხის კეთილ დღეობას და ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებას. ერთა სოლიდარობა გახლავთ სწორედ ის საშუალება, რომელიც აიყვავებს ჩვენს რესპუბლიკას და ამიერ კავკასიაში დაამყარებს იმ წესს, რომელიც აუცილებელი პირობაა ჩვენი არსებობისთვის და განვითარებისათვის. მე ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო ის, რაც არა ერთხელ მითქვამს: პირადათ მე ვერ წარმომიდგენია ამიერ კავკასიის ისეთნაირად მოწყობა, სადაც ერთ ხალხს ექნება ბედნიერება, თავისუფლება, დანარჩენები კი დაბეჩავებული და დამონავებული იქნებიან. მე ასეთი მდგომარეობა ვერ წარმომიდგენია.

ჩემის ღრმა რწმენით, მაშინ, როდესაც ერთა შორის დამყარდება სოლიდარობა, ურთ-ერთ ინტერესების შემეცნება და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი სიარული პროგრესის გზით, ეს მისცემს საშუალებას ჩვენს ხალხს იაროს კულტურისა და პროგრესისაკენ, რაც ჩვენი მიზანია და ამ მიზანს ემსახურება ეს ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება გვაძლევს გარანტიას, რომ არ განმეორდება ის უბედურება, რომელიც ჩვენი ხალხის და სომხის ხალხის შორის ჰქონდა ადგილი. ეს დიდი რეალური ღირებულება გახლავთ და როგორც ჩვენს დამფ. კრებაზე არის დამოკიდებული, ისე სომხეთის ხალხისაგან არის დამოკიდებული, რომ ეს მშვენიერი, მკვეთრი იარაღი მოვიხმაროთ ისე, როგორც ხალხის ინტერესი თხოულობს. მე მგონია, რომ გარდამავალმა მოვლენამ არ უნდა დაჩრდილოს ეს სასიხარულო მომენტი და ის პრინციპი, რომელიც საფუძვლათ დაედვა ამ ხელშეკრულებას: ერთა შორის სოლიდარობა და მეგობრული კავშირი სომხეთ ადერბეიჯანს შორის ამიერ-კავკასიაში. (ტაში).

ს. ფირცხალავა (ს. ფ.) ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ მარტივად და მოკლეთ მივესალმოთ ამ ხელშეკრულებას, სხვანაირად ვერ მოიქცევა ვერც ერთი მამულიშვილი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და მომენტი. კედიის სიტყვაში აშკარად გამოსჭვიოდა იმპერიალისტური პოლიტიკისადმი მიდრეკილება.

(გვაზავა ადგილიდან: თქვენ არ გესმით ალბათ იმპერიალიზმი!) მე კარგად მესმის იმპერიალიზმი და ისიც ვიცი, რომ როგორც დიდი ერების დიდ კაცებს აქვთ იმპერიალიზმისაკენ მიდრეკილება, ისე პატარა ერების პატარა კაცუნებსაც აქვთ სურვილი სხვისი დაპყრობისა (ტაში). თუ ამიერ კავკასიის ერთა შორის იქნება ჩამოვარდნილი შუღლი და მტრობა, მაშინ ამ რესპუბლიკებს თავისუფლათ არსებობა არ შეუძლიათ. ამ რესპუბლიკების კეთილდღეობის თვალსაზრისით აუცილებელია კავშირი, ერთობა, სოლიდარობა და ურთიერთ ინტერესის გაგება, ამიტომ წარმოდგენილი ხელშეკრულება აუცილებლათ უნდა დადასტურებულ იქნას.

გრ. ვეშაპელი (ნაც. პარტ.) აღნიშნავს, რომ ადერბეიჯანსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას და წარმოდგენილ ხელშეკრულებას შორის დიდი განსხვავებაა. იქ მხედველობაში მიღებულია პოლიტიკური მომენტი, აქ კი არა. აი ეს პოლიტიკური შეთანხმება საძირკველი არ არის წარმოდგენილ ხელშეკრულებაში და ამიტომ არბიტრაჟი რჩება უშინაარსო დეკლარაციათ. ჩვენთვის უფრო მისაღები იქნებოდა ეს ხელშეკრულება წარდგენოდა დამფ. კრებას მაშინ, როცა თფ. კონფერენცია დაასრულებდა შეთანხმების ყველა საქმეებს. ისე კი ნაციონალისტური თვალსაზრისით ამ ხელშეკრულების მიღება არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ყველაფერს სწყვეტს რეალური ძალთა განწყობილება.

ლ. შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება სასიხარულო მოვლენაა. საქართველოს დემოკრატიის მისწრაფებამ გაიმარჯვა და დღეს უკვე გვაქვს ხელშეკრულება, რომლის ძალით ყოველგვარი სადაო საკითხი შეთანხმებით, ან სავალდებულო არბიტრაჟით უნდა გადაწყდეს. ამიერიდან უარყოფილია ომი და ეს მოვლენა ჩვენ გვახარებს. ჩვენ აუცილებელ საჭიროთ ვსცნობთ ამ ხელშეკრულების დადასტურებას.

(დასასრული იქნება).

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)
17 ნოემბერი.

## ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, ნოემბრის თხუთმეტი. ჰელსინგფორსი, ნოემბრის 12. გაზეთი „ჰამულეხტი“ მოწინავე წერილში სწერს: ეხლა, როდესაც ფინლიანდიის მიერ ოფიციალურათ მონაწილეობის მიღება პეტროგრადის წინააღმდეგ გასალაშქრებლად უარყოფილია, საზღვარგარეთელი და ფინლიანდიელი რუსეთის საქმეში ჩარევის მომხრეები ფინებში მოხალისეთა ლაშქარს ადგენენ. დაწვრილებით ცნობებს ამის შესახებ საიდუმლოთ ინახავენ. ამნაირი შეიარაღებული რაზმების შედგენა ვისმესი კერძო საქმე ხომ არ არის, ამიტომ საჭიროა სეიმმა გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება ამ საქმისადმი, რომელიც არაფერ კარგს ჩვენ არ გვიქადის.

**სამხედრო ცნობა.** ჩვენმა ჯარმა ნარვის რაიონში სასტიკ ბრძოლის შემდეგ იამბურგი აიღო და ხელთ იგდო: 600 ტყვე, სამი ზარბაზანი, 20 ტყვიისმფრქვეველი, სასურსათო საწყობი და მრავალი სასროლი მასალა.

20 ვერსზე ჩერნიგოვის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. გლუხოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა ქალ. გლუხოვი აიღო.

**მოსკოვი.** პეტროპავლოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა ქალაქი ომსკი აიღო. მოწინააღმდეგე ციმბირის მაგისტრალის აღმოსავლეთით იხევს. სამხრეთით ჩვენ ხელთ ვიგდეთ ერთი ჯავშნიანი მატარებელი და ორი ბატალიონი მთელი შემადგენლობით.

ესტონეთის ჯარმა ხელმეორედ აღმოუჩინა ჩრდილო-დასავლეთის ლაშქარს დახმარება იამბურგის მახლობლად ფრონტის გარღვევაში.

**ლიონი,** ნოემ. 14. პარიჟის გაზეთების ასოთ ამწყობთა გაფიცვა გრძელდება.

ურალსკ-სახარნაიას ტრაქტზე სკვორკინოს ფორპოსტის სამხრეთით 10 ვერსზე ბრძოლის შემდეგ იანოვსკი დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ 200 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 10 ტყვიისმფრქვეველი.

## მოხალისეთა ცნობები.

**ნიკოლაევი.** ნოემბ. 16. სადგური აკიშევი წითელმა ჯარმა აიღო. ვორონეჟის მიმართ. ტალოვოის ჩრდილოეთით სოფ. კმენო გლუდრიუკინსკზე ჩვენი შეტევა უშედეგოთ დამთავრდა. კალომენის რაიონიდან ჩვენმა ჯარმა კოდრა შინოსკენ დაიხია. ვორონეჟის სამხრეთით ჩვენ ავიღეთ სოფ. საშერშნევო და კოსტიანკა. ჩერნიგოვის სამხრეთით ჩვენი ჯარი მოწინააღმდეგეს სმოლიანკა იგლიშევკას ხაზზე აჩერებს. ჟიტომირის მიმართ. დიმეროვკას რაიონში დემიროვკასა და ლიტვინოვკაში გლეხთა აჯანყებაა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. პროსკუროვის მიმართ. ჩვენმა ჯარმა მოგილიოვი პოდოლსკი და სად. ჟმერინკა აიღო. ბევრი ნადავლი და ტყვე წამოყვანილი.

ორიოლის მიმართულება: კურსკის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. პროსკუროვის მიმართულება: ჩვენ ვოლოტინცკი დავიჭირეთ. პოდოლის-მოგილევის ჩრდილო დასავლეთით ჩვენ ვენდიჩანი და ქალ. იარიშევი დავიჭირეთ. ჟმერინკაში ხელში ჩავიგდეთ 1243 ვაგონი. ადესის რაიონი: სიწყნარეა.

## გერმანული პრესის ცნობები.

გალიციაში აღარ არის ნახშირი და ზეთი. ხალხი ღელავს, სიმშილობაა. დემონსტრანტები თხოულობენ შაქარის, ნახშირის და ფქვილის დარიგებას. ვარშავიდან და ლოძიდან მოსული ცნობებიც იუწყებიან პურის ნაკლებლობაზე.

დანიის მთავრობა შეეკითხა პარიჟს და ლონდონს, თუ როდის შევა ძალაში საზავო ხელშეკრულება. ორივეთგან ერთი და იგივე პასუხი მოვიდა: შეუძლებელია დროს დანიშვნა იმისა, თუ ხელშეკრულობა ძალაში როდის შევა.

თითქმის ყველა გოლანდიის გაზეთები ანტანტის მიერ გერმანიისადმი გაგზავნილ ნოტას აღმაშფოთებლად სთვლიან: „მოასბოდე“ სწერს: „ნოტიდან სჩანს, რომ მოკავშირეებს სურთ გერმანიაში მშვიდობიანობა დანერგონ ძალდატანებითი საშუალებით და შუშტით“. „ჰენდელიესბლადი“ ამბობს: უმაღლეს საბჭოს უთუოდ სურს, სანამ სრულიად მოხდებოდეს საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია, საფრანგეთის მილიტარისტებს მისცეს საშუალება დაიხსომოს, რომ პოდსტამი პრუსიას უკვე აღარ ეკუთვნის“. „ვეჩერნი ტელეგრაფი“, რომელიც ომის დროს ძლიერ მტრულად იყო განწყობილი, გერმანიასთან, კითხვას იძლევა, იქცევა-კი კეთილ-გონიერად ან ანტანტა, როდესაც საქმე უკიდურესობამდის მიჰყავს?

გერმანიის პრესამ საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურ ნოტიდან გაიგო, რომ რუსეთის საქმეებში საფრანგეთის სამხედრო ჩარევის შეწყვეტის მთავარი მიზეზი საბჭოთა მთავრობის მიერ საფრანგეთის ყველა ვალების პასუხისმგებლობის აღიარებაა.

შვეიცარიის ნაციონალურ საბჭოში კოლონდერმა მოითხოვა, რომ შვეიცარია აუცილებლათ შესულიყო ხალხთა ლიგაში, რომელიც მისი აზრით დაიცავს კაცობრიობას მეორე ომისაგან, ომი კი, თუ ის მოხდა, მთელს ევროპას დაანგრევს. ხაზი გაუსვა კომერციულ ხელსაყრელობას.

უკანასკნელ დღეებში მრავალმა არასასურველმა ინციდენტმა ბერლინის მცხოვრებთა შორის მღელვარება გამოიწვია. როდესაც ჰინდენბურგი ფორულად უნდა მისულიყო საგამომძიებლო კომისიასთან, რეიხსტაგის წინ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, იმ მიზნით, რომ ფელდმარშალისთვის პატივი ეცათ. ბრბო, რომელიც უმეტეს ნაწილათ შესდგებოდა სტუდენტებისა და მოსწავლეებისაგან, იმდენად გაიზარდა, რომ ჰინდენბურგმა ვერ შესძლო რეიხსტაგის შენობამდე მისვლა და უკან დაბრუნდა.

მთავრობის წევრები რომელნიც უმრავლესე სოციალისტებს ეკუთვნიან, განსაკუთრებით სახელმწიფო თავდაცვის მინისტრი ნოსკე, კონსერვატიულ ელემენტების გამოსვლებში არავითარ საშიშროებას არ ხედავენ. შეიდემანის აზრით კი ეს საშიშროება მეტია, ვიდრე სპარტაკელების მუქარა. ამის გამო კვირისთვის მეუმრავლესე სოციალისტების კომიტეტი ბერლინში იწვევს მიტინგებს ლოზუნგით: საჯარო და პოლიციის მართველობას, როგორც სჩანს, სძინავს, ჩვენ მას გამოვაფხიზლებთ“. „ფორვერტს“-ი უსაყვედურებს ნაციონალისტებს, რომ ისინი პასუხისმგებლათ არ გრძნობენ თავს იმის გამო, რომ სპარტაკელების წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სახელმწიფო ზომებს ისინი უარყოფენ. მაგალითად, მათი აგიტაციის წყალობით კლემანსომ იშოვა საბაბი, რომ დაემცირებია გერმანია და მისი სამხედრო ტყვეები შეეჩერებია.

დემოკრატიული და სოციალისტური გაზეთები ლაპარაკობენ, რომ რეაქციის საშიშროება აუცილებელია. „ტაგებლატის“ აზრით, რეაქციონერების პროპაგანდა მუშათა კონტრ დემონსტრაციებს გამოიწვევს.

## ამერიკული პრესის ცნობები.

პურისა და სათბობი მასალის უქონლობის გამო ვენა შემაძრწუნებელი შიშით შეხვდა ზამთარს;

დასავლეთის ძლევამოსილმა სახელმწიფოებმა მისია მისიაზე გზავნეს მდგომარეობის გასაცნობათ. მაგრამ წაიკითხა ვინმემ ამ მისიათა მოხსენება პარიჟში? და თუ წაიკითხეს გაუგებარი და მიუტევებელია იმ ხალხთა ასეთი დამოკიდებულება. სად არის მათი პასუხისმგებლობა, სად არის მათი სინიდისი, სად არის მათი პატივისცემა კაცობრიობისადმი? მათ არ შეუძლიათ გაიგონ, რომ უმწეო ბავშვები იხოცებიან ნახშირის უქონლობის გამო. როდესაც კომისიის მოხსენება მოისმინა, საბჭომ გადასწყვიტა ავსტრიაში ნახშირის გადაზიდვა, მაგრამ ჯერ ამისთვის საჭირო ნაბიჯი არ გადაუდგამთ. ამ დროს კი ვენაში ხალხი იხოცება წინანდელი ხელმძღვანელების ცოდვების წყალობით.

შიშს გამოსთქვამენ, რომ დანუნციომ არ ჩააბას იტალია მეორე ბალკანეთის ომში, რაც დასაწყისი შეიქნება მეორე ცეცხლის გაჩაღებისა.

ბუდაპეშტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ რუმინიის ევაკუაცია წესიერათ ჩატარდა, უნგრეთის ჯარი შევიდა ქალაქში დილას.

## ფრანგული პრესის ცნობები

17 ნოემბერს პარიჟში გერმანიის დელეგაციას მოელიან. დელეგაციას მეთაურობს ნდობით აღჭურვილი მინისტრი ფონ სიმსონი. დელეგაციამ ხელი უნდა მოაწეროს იმ ოქმს, რომელშიაც აღნიშნულია დროებითი ზავის პირობები და რომელსაც აქამდის გერმანია არ ასრულებდა.

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ მუსტაფა კამილმა სირიიდან ტელეგრამით მიმართა ლენინს. უკანასკნელს ის წინადადებას აძლევს ოსმალეთის ნაციონალისტებსა და საბჭოებთა შორის კავშირი შეკვრას.

ნიკოლაევიდან იუწყებიან, რომ ასტრახანის გუბერნიის გლეხებმა ხელმეორეთ ააფრიალეს ამბოხების დროშა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბორისოგლების მაზრაში წითლების წინააღმდეგ ამბოხება ფართე ხასიათს ღებულობს. ბრიანსკში მუშების აღელვება მე-14 წითელმა არმიამ შეაჩერა, ბრძოლა სწარმოებს. კალუგის გუბერნიაში და სერპუხოვში ერთსა და იმავე დროს იფეთქა აჯანყებამ. მოსკოვის გუბერნიაში ამბოხებაა, მიეშურებიან სამხრეთისკენ, რომ მოხალისეთა ლაშქარს შეუერთდენ, რომ ეს აჯანყებები ჩააქროს. ბოლშევიკები იძულებული არიან პოლკები ფრონტიდან წაიყვანონ. გალიციის პოლკებმა, რიცხვით 30,000 კაცმა პეტლიურას ლაშქარი მიატოვეს, მოხალისეებმა პეტლიურასა და გერმანიას შორის კავშირი აღმოაჩინა.

## ამერიკის სენატში საზავო ხელშეკრულება.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ სენატმა მიიღო ზავის პირობები შესწორებით იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს აქვს უფლება თავისი შეიარაღებული ძალები გააძლიეროს, ხალხთა ლიგის დაუკითხავად, თუ კი შტატებს მტერი თავს დაესხმის. აგრეთვე 63 ხმით, 41 წინააღმდეგ მიიღეს შესწორება, რომელიც ნებას აძლევს შეერთებულ შტატებს თავისი ქვეშევრდომების კომერციული დამოკიდებულება თვით გადასწყვიტოს, ხალხთა ლიგის დაუკითხავად, იმ პირობით, თუ ეს ქვეშევრდომები თავის სამშობლოში არ ცხოვრობენ. დაბოლოს, მესამე შესწორება, რომ ხელშეკრულების არც ერთი მუხლი ვერ გააუქმებს ამერიკის მოქალაქის უფლებას და ვერ შემოფარგლავს ამ უფლებას. ეს შესწორება მიიღეს 52 ხმით, 41 ხმის წინააღმდეგ.

რომიდან იუწყებიან, გაზეთებმა შეიტყვეს, რომ მეფეს და ნიტტის თათბირის საგანს შეადგენდა ფიუმეს საკითხი. თათბირზე დაესწრენ: გენერალი ალრიცია დაინცი-ი და ბადოლიო.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ ესტონიის ნაციონალურ პარტიის ლიდერს ტენისონს დაავალეს შეადგინოს ახალი კოალიციონური მთავრობა.

# უკანასკნელი ცნობები

## საქართველოს გემები ბათუმის ნავთსადგურში.

საქართველოს კონსულმა ქ. ბათუმში ბ-ნ სამხედრო გუბერნატორისაგან 5 ნოემბრის თარიღით შემდეგი მოწერილობა მიიღო.

„საქართველოს რესპუბლიკის ბ-ნ კონსულს ბათუმში. მოწყალეო ხელმწიფევ. თქვენი წერილის საპასუხოდ, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ბათუმის პორტში შეუძლიათ შემოვიდენ სავაჭრო გემებს, რომლებზედაც საქართველოს დროშა იქნება აფრიალებული. ამ გემებმა უნდა გადაიხადონ საპორტო გადასახადები და მათ უნდა ჰქონდეთ საჭირო საბუთები და ნებართვა საქართველოს მთავრობისაგან.

კანონიერი სავაჭრო ურთიერთობა ბათუმსა და საქართველოს შავი ზღვის ნავთსადგურთა შორის ძლიერ სასიამოვნოა და ყოველი გემი საქართველოს დროშით ბათუმის ნავთსადგურში ჰპოვებს ბრიტანეთის მფარველობას.

ბრიგადის გენერალი, სამხედრო გუბერნატორი კუკ-კოლისი“.

ამ მოწერილობის გამო საქართველოს კონსულმა ჩინიჯიშვილმა, შემდეგი დეპეშები გაგზავნა:

„ქალაქის თავებს და ნავთსადგურის უფროსებს ფოთში, ოჩემჩირეში, სუხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში და გაგრაში.

მოხდა შეთანხმება ჩემსა და სამხედრო გუბერნატორ ბ-ნ კუკ-კოლის შორის შემდეგში: ყველა გემებს, რომლებიც საქართველოს დროშით დასცურავენ და რომელთაც აქვთ საქართველოს მთავრობისაგან ნებართვა და სხვა საჭირო საბუთები, უფლება აქვთ ბათუმის ნავთსადგურში შემოსვლისა. მათ გარანტია ეძლევათ თავისუფალი სავაჭრო ურთი ერთობისა ბათუმსა და საქართველოს ნავთსადგურების შორის და აგრეთვე ბრიტანეთის მფარველობისა ბათუმის ნავთსადგურში დგომის დროს. გემების კაპიტნები გემის ბათუმში შემოსვლის დროს უნდა გამოცხადდენ ჩემთან რეგისტრაციისათვის და ვიზისათვის გემის საბუთებით. იმ გემებისაგან, რომლებიც თქვენ ნავთსადგურში შემოვლენ ბათუმიდან, უნდა მოითხოვოთ ჩემ მიერ შემოწმებული სანიტარული პატენტი“.

## ბოლშევიკური გამოსვლების ლიკვიდაცია ლანჩხუთში.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ლანჩხუთიდან შემდეგს ატყობინებენ:

„გთხოვთ უარყოთ ის ცნობა, თითქოს ბოლშევიკებს ხელში ჩაეგდოთ ლანჩხუთის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი. ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს მხოლოდ მილიციის სამმართველო 4 მილიციონერით.

2 საათის შემდეგ გვარდიამ და მილიციამ უკანვე დაიბრუნეს მილიციის სამმართველო. ამ დღესვე დაატუსაღეს 100-ზე მეტი ბოლშევიკი. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ გადმოგცეთ ხალხის ერთსულოვნება ნაძირალების წინააღმდეგ. წესრიგი სავსებით აღდგენილია. გაქცეული ადგილობრივი ბოლშევიკები ბრუნდებიან და გვნებდებიან.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

◆ **უორდროპის წერილი.** საგარეო საქმეთა მინისტრმა ოლივერ უორდროპისაგან შემდეგი წერილი მიიღო. „გთხოვთ მიიღოთ და გადასცეთ თქვენს კოლეგებს ჩემი მხურვალე მადლობა იმ მშვენიერი მოგზაურობისათვის კახეთში, რომლის საშუალება თქვენ მომეცით. ყველაფერი მშვენივრათ იყო მოწყობილი და ასრულებული მამუკა ორბელიანისა და კახეთის რკინის გზის უფროსისაგან. სიტყვასაც ვერ ვპოულობ, რომ მადლობა გამოუცხადო ყველა იმათ, ვინც მე იქ მომესალმა. კეთილ ინებეთ და გადაეცით ჩემი ულრმესი კმაყოფილება ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღეს ჩემს შეხვედრაში ბოდბესა, სიღნაღსა, თელავსა, წინანდალსა და სხვა მრავალ ადგილას. გულწრფელად თქვენი უორდროპი“.

◆ **ხატისოვის დეპეშა.** სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა საქართველოს სამხედრო მინისტრს ნ. რამიშვილს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „ყარსის ოლქის შემოვლის დროს საპატიო ყარაული დამახვედრა არდაგანის ქართულმა სამხედრო ნაწილმა. გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, როგორც სამხედრო მინისტრს, იმ გულითად დახვედრისათვის, რომელიც მე გამიკეთეს, როგორც სომხეთის მთავრობის წარმომადგენელს. დარწმუნებული ვარ, რომ ორ მეზობელ შორის დადებულ ხელშეკრულობა მიგვიყვანს საქართველოს და სომხეთის ხალხის და ჯარის სრულ ძმობამდე“.

**ნ. რამიშვილის საპასუხო დეპეშა:** გულწრფელ მადლობას გიძღვნით თქვენი მოსალმებისა და არდაგანში მდგარ ჩვენი ჯარისადმი თქვენ მიერ ყურადღების გამოჩენის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ ერისა და მათი ჯარების მეგობრობა და ერთობა, რასაც დაედო საფუძველი უკვე ხელმოწერილ ხელშეკრულობით, დღითი დღე უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

◆ **ბოლშევიკების დახვრეტა.** 15 ნოემბერს ქ. დუშეთში თანახმად საველე სასამართლოს გადაწყვეტილებისა, დახვრეტილ იქმნენ ბოლშევიკურ გამოსვლების ხელმძღვანელნი, რიცხვით 5 კაცი: 1) კობელი ოსი, თავკაცი, აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი; რომელიც „ლენინის“ სახელწოდებით დადიოდა; 2) მელია, რომელიც 24 ოქტომბერს ყაჩაღთა რაზმს მეთაურობდა და დუშეთს ალყა შემოარტყა; 3) ეძგვერიძე და 4) ორი მილიციონერი ქარიაული და ვარსიმაშვილი. უკანასკნელნი ყოველივე ცნობებს აწვდიდენ აჯანყებულებს და გამოსვლაში მათთან მონ[illegible]
წილეობდნენ.

◆ **საზღვარ გარეთ მიმავალ ს[illegible]**
[illegible]
მედების სამინისტროში დანიშნულია
სტუდენტთა კრება, რომელნიც სა
ღვარ-გარეთ თავიანთ ხარჯზე მიდი
და რომელთაც უკვე შეტანილი აქ
თხოვნები სამინისტროში.

◆ **აჯანყების მსხვერპლი.** ატენ
ხეობაში, აჯანყების დროს ყაჩაღებ
მოკლეს ადგილობრივი სათემო ერობ
თავმჯდომარე საშა ჭიხლაძე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღე
საღამოს 6 ს. სახ. უნივერ. ქართ
განყოფ. დანიშნულია შემდეგი მორი
ლექციები: 1 განყ. (ნაძალადევი) 1 ტ
რიაშვილი „გიგიენა“ 2 ტ. ართმელა
„ერი და ჯარი“. 3 განყ. (ჩუღურეთი)
მ. შალამბერიძე „ქიმია“ 2 ა. ჟორჟ
ლიანი „19 საუკ. ისტ. დას. ევროპ
6 განყ. (ერთობის უბანი 1) ქრ. რაზ
ლიშვილი—„სოციალური ბრძოლა ძვ
რომში“. 2) ირემაშვილი „ეკონომიუ
საკითხები“.

◆ **თუთუნის ქარხნ.** მოსამსახურ
9 ნოემბრის საერთო კრებამ დაადგი
თავიანთ კავშირის ორი წლის არს
ბობის დღის აღსანიშნავათ, 2 ათ
მანეთი გადასცეს სახალხო უნივე
სიტეტს.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** ღრ
მწუხარებას გამოვსთქვამ მოსე ბერძ
შვილის უდროოდ დაკარგვის გამ
ვსთხოვ ამხანაგებს გადასცენ დაკარგ
ლის ჭირისუფლებს ჩემი თანაგრძნო
ნინო ძიძიგური.

— ჩემს ღრმა მწუხარებას უერ
სამტრედიელ გულ დათუთქულ ამხა
გებს, მუშათა კლასისათვის თავდა
ბულ მებრძოლის მოსე ბერძენიშვილ
უდროვოთ დაკარგვის გამო. დამფ. კ
წევრი ილია კოპალეიშვი.

[illegible]

დღეს, 18 ნოემბერს, სახელმწი
უნივერსიტეტის პირველ აუდიტორი
ს.-დემოკრატიულ სამეცნიერო წრ
დანიშნულია ამხ. მუხრან ხოჭოლა
მორიგი ლექცია. დასაწყისი საღამ
7 საათზე.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან).

**ბესარაბიის განადგურება.** ბესარაბ
ვერ აცდა რუსეთის სხვა ქალაქებ
ბედს. ჯერ იყო დაბრუნებულმა ჯარ
გაანადგურა, მერე კიდევ ბოლშევიკებმ
უკანასკნელათ დაიპყრო რუმინიამ
სავსებით აახრა. რუმინელების შემ
სვლას თან მოჰყვა წარმოუდგენე
ძალმომრეობა, ძარცვა-გლეჯა, ხოც
ლეტა. წაართვეს გლეხებს და გაზიდ
რუმინიაში სამეურნეო იარაღები
ინვენტარი. გაიტანეს ხორბალი, არ დ
ტოვეს სათესლეც კი. წაიყვანეს ცხენ
ბი, ძროხები. დაადვეს ხალხს უდიდე
გადასახადი. გამეფდა მექრთამეო
გამოაცხადეს საყოველთაო მობილი
ცია. ყოველივე ამან ხალხი მოთმინებ
დან გამოიყვანა და აქა იქ აჯანყებ
იფეთქა, რასაც რამდენიმე მაზრის სრ
ლიად განადგურება მოჰყვა. მარტ
ერთი თვის განმავლობაში გაანადგურ
შვიდი დიდი სოფელი და გასწყვიტ
5000-მდე კაცი.

**ბალტიის ხაოსი.** მთელ ბალტიის მხ
რეში გამეფებულია სრული ანარქია.
ამ ჟამად მოქმედებს ოთხი უცხო ძალ
ყველაზე მეტი გავლენით სარგებლობ
ინგლისელები და გერმანელები. არ
მრავალი პარტიზანული რაზმი. ხშ
ხშირი შეტაკება ლატიშელებთან აქვ
სამხრეთის ჯარების ნაწილები, რომლ
ბიც ებრძვიან ბოლშევიკების რაზმებ
რომლებიც თავის მხრით ყოველ დ
ესხმიან თავს მოწინააღმდეგე რაზმებ

**ციმბირში.** კოლჩაკის მდგომარეო
საგრძნობლათ შეირყა. მისი გავლ
ყოველ დღე ეცემა. მოსალოდნელ
ციმბირის ჯარების დაშლა. ციმბი
თანდათან კარგავს მნიშვნელობას რ
სეთის საკითხის გადაწყვეტის საკითხ
მისი როლი თანდათან გადადის დე
კინის ხელში.

**ავსტრიის მუშათა საბჭოში.** ვენა
მოხდა ავსტრიის მუშათა საბჭოებ
კრება მთავრობის საკითხის გასარჩევა
ცნობილმა სოციალდემოკრატმა და მთ
ვრობის თავმჯდომარემ ბაუერმა სთქ
შესაძლებელია ორი პერსპექტივა:
უნდა დაუთმოთ მართვა გამგეობა სა
სებით ბურჟუაზიულ პარტიებს, ან
მხოლოდ ჩვენ შევადგინოთ მთავრობ
ორივე შემთხვევაში მოსალოდნელია ს
მოქალაქო ომი. ავსტრია ისეთ მდგ
მარეობაშია ახლა—გარეშე ძალების დ
უხმარებლათ შეუძლებელია არსებობ
დაბოლოს განაცხადა, რომ იძულებუ
გადადგეს სამსახურიდან. დიდი კამათ
შემდეგ კრებამ მიიღო ფრიდრიხ ადლ
რის რეზოლიუცია, რომელიც მოითხო
საბჭოთა სახელით კოალიციონურ მთ
ვრობის შედგენას.

**სისხლის სამეფო.** რუსეთი ნამდვ
სისხლის სამეფოთ გადაიქცა. ამ სისხ
ში იხრჩობა განსაკუთრებით ებრაელ
დარბევა ისეთი საშინელებით ხდებ
რომ მისი აღწერა შეუძლებელია. ძ

ტენ ასობით. ძარცვავენ მილიონობით. მთელი ქალაქები და სოფლები გაპარტახებულია. ზნამენკაში არ დარჩენილა არც ერთი ებრაელი ცოცხალი. ზოგიერთი ქალაქი უკრაინაში დაარბიეს 33 ჯერ. ელიზავეტგრადში დარბევამ უსაშინლესი ხასიათი მიიღო. პოგრომჩიკები წინდაწინ თხრიდენ საფლავს და იქვე საფლავთან ჯგუფებათ ხვრეტდენ. ხალხი ისეა გაძარცული, რომ დაძრწიან ტიტვლები, იყინებიან და იღუპებიან ასობით. ებრაელების ყველა სახლები დაშწვარ დანგრეულია და თავზარდაცემული ხალხი იმალება და ეფარება ტყეებს და ღრეებს. დარბევის საშინელება იმდენათ დიდია, რომ ამ ბოლო დროს ამას ყურადღება მიაქცია ამერიკამ, რომელმაც განუცხადა დენიკინს: თუ არ შეწყდა პოგრომები, დახმარება მოგესპობაო.

მძევლები. ვორონეჟიდან გასვლის დროს ბალშევიკებს 205 მძევალი წაუყვანიათ. ნაწილი გზაში დაუხვრეტიათ, ნაწილი გზაში გაქცეულა. დახვრეტილთა უმეტესობას შეადგენს ინტელიგენცია. მრავალია მათ შორის ერობის და ქალაქის მოღვაწენი. არიან სოციალისტებიც.

კომისრების დახვრეტა. მოხალისეთა გენერალმა შკურომ ათამდე კომუნისტი კომისარი დახვრიტა. დახვრეტა მოხდა საჯაროთ. ხალხი ძალათ გარეკეს საყურებლათ. დახვრეტილთა გვამები მთელი კვირა ეკიდა მოედანზე.

აჯანყება დაღესტანში. დაღესტანში აჯანყება გრძელდება. მოხალისეთა ჯარმა დაიკავა დერბენტი, თემირხან-შურა და პეტროვსკი. მოხალისეთ საკუთარი ძალა ძლიერ ცოტა ჰყავთ, მაგრამ მათ ამა თუ იმ მიზეზით ძალით გაიწვიეს ჯარში ამ ქალაქებში დარჩენილი მუსულმანები და შეაიარაღეს ყველა ებრაელები, რომლებიც ბევრია შურაში და განსაკუთრებით დერბენტში. მოხალისეთა რაზმები არავითარ აქტივობას არ იჩენენ.

უკანასკნელ ხანებში დაღესტანის აულებში რიგდება მოწოდებები ულტიმატური წინადადებებით, რომ გაცემულ იქნეს აჯანყების ყველა მეთაურები და ჯარში გაიდნენ. ამ წინადადებებს თან ახლავს ჩვეულებრივი მუქარა იმ სოფლებისადმი, რომელიც ამ მოთხოვნას არ დაემორჩილება. დერბენტთან მოხალისეებმა ყველაფერი ვადასწვეს. ნავთ სადგურის გარდა მათ გასავალი არა აქვთ. მატარებელი მხოლოდ აგნამდე დადის, შემდეგ კი გზა სადგურ კაია კენტამდე გაფუჭებულია.

სადგურ კაია კენტიდან რკინის გზა სისტემატიურად ფუჭდება, მაგრამ ჯავშნოსან მატარებლებით ისევ აკეთებენ. გზის გაფუჭების გამო ანადგურებენ რკინის გზასთან მდებარე სოფლებს, რომლებიც სრულიადაც დამნაშავე არ არიან და რაც მოხალისეებმაც კარგათ იციან. ოქტომბრის უკანასკნელ დღეებში, სოფ. ბუინაკში ჩააგდეს 26 ყუმბარა; მოკლულ იქნა 1 კაცი და 2 ბავშვი მძიმეთ დაიჭრა, ამით განისაზღვრა მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი, რადგანაც მცხოვრებლებმა მოასწრეს მთებში გაქცევა.

სად. განასი დაკავებული აქვს მოხალისეთა რაზმს რიცხვით 200 კაცს, რომელნიც შეიარაღებულნი არიან ტყვიის მფრქვეველებითა და ხელის სასროლ ყუმბარებით. რამდენიმე ხნის უკან, დაღესტანის რაზმმა შეუტია სად. მანასს, მაგრამ ვინაიიდან მათ არ ქონდათ საკმარისათ პატრონები, ამიტომ დასტოვეს 30 მოკლული და ამდენივე დაჭრილი და უკან დაიხიეს. მოხალისეთა მხრივ მოკლულ იქნა 30—40 კაცი და 5 ტყვეთ წაყვანილი. მიუხედავათ იმისა, რომ დაღესტნელები ხედავდნენ, თუ როგორ კლავდნენ მოხალისეები დაღესტნელთა დაჭრილებს, ეს ტყვეები წაყვანილ იქნენ აულებში და მათ არავინ არავითარ შეურაცყოფას არ აყენებს.

პეტროვსკში მწვავე სასურსათო კრიზისია. არ არის დისციპლინა. აფიცრობა უკმაყოფილოა.

ბრძოლა ზანგეზურში. თფილისში მიღებულ ცნობების თანახმად, 29 ოქტომბერს, დღის 2 საათზე ზაბუხში შეიჭრა ადერბეიჯანის ოფიცერი 30 ცხენოსნებით, მოიხმო სოფელ დიგის პატივცემული პირები და გადასცა მათ წერილობითი მოთხოვნილება, რომ ზანგეზურმა იცნოს ადერბეიჯანის მთავრობა.

1 ნოემბერს თათართა ჯარმა 3 მხრივ შეუტია ზანგეზურს—შუშისა, კარიაგინის მაზრისა და ნახიჩევანისაკენ. შუშისაკენ დაიძრა 3 პოლკი, რიცხვით 6000 კაცი, ორი ცხენოსანი პოლკი, 8 მსუბუქი არტილერია და 400 ცხენოსანი ქურთები.

ნახიჩევანიდან წავიდა 3000 კაცი, სხვა მიმართულებით მოქმედებენ მრავალ რიცხოვანი ქურთები.

ოპერაციის ხელმძღვანელობენ გენ. ედიგაროვი და გენერალ-გუბერნატორი სულთანოვის ძმა—სულთან ბეგი.

მთელ ჯარს ხელმძღვანელობს გენერალი ალი აღა შიხლინსკი.

6 ნოემბრიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ადერბეიჯანელებმა სოფელ ხოზნავარი, დიგი და ბაიადურზე შეტევა დაიწყეს და სცდილობენ სოფელ დიგით გერიუსში შეიჭრან, მაგრამ, მიუხედავათ მათი მრავალ-რიცხოვანობისა, მცხოვრებლები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ.

ხაზნავარის მიმართულებით თათრებმა მთა კეჩალ-დაგიდან დახევის დროს, რომელიც მათ დაიკავეს ხოზნავარი და ბაიანდურთან ერთად, დატოვეს 7 ტყვიისმფრქვეველი.

ოდესაში მოხალისეების სარდალმა პროფესიონალურ კავშირების ორგანო „ლუჩს" ქაღალდი წაართვა და შეძენაც აუკრძალა. მიზეზათ გაზეთის მიმართულებას ასახელებს.

კომუნისტები სასტიკ ზომებს იღებენ მობილიზაციის ჩასატარებლათ. ზოგან ჯარში მუშების მთელი შემადგენლობა გაიწვიეს. დეზერტირებს ხვრეტავენ და სოფელს, რომელიც შეინახავს და დამალავს მათ, ანადგურებენ. პეტროგრადის მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე ზინოვიევმა განაცხადა, რომ ჩვენ ყოველ წუთში უნდა მოველოდეთ თავდასხმას ესტონეთიდან, სადაც თავი შეაფარა იუდენიჩის ჯარმაო. მოხალისეების გენერლებიც ამბობენ, რომ საომარი მოქმედება მთელ ზამთარში გაგრძელდებაო. დენიკინის ჯარში უკმაყოფილებას იწვევს თფილი ტანსაცმელის უქონლობა. ცნობილი მარია სპირიდონოვა, რომელიც კრემლიდან გაიქციეს მემარცხენე ესერებმა, კომუნისტების წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევა გლეხობაში და აწყობს შეთქმულებებს.

# ლეჩხუმი

## III.

ცაგერიდან ლეჩხუმის სახალხო გვარდიის რაზმი მიდიოდა ქვედა-სვანეთში, მცხოვრებთაგან იარაღის ასაყრელათ. მეც ამ რაზმთან მომიხდა მგზავრობა. გავყევით ცხენის წყლის ხეობას, ვიწრო და ალაგ-ალაგ საშიშარი გასავალი ბილიკით. ზევიდან შიშის აღმძვრელი სიმაღლით, სიდიდით და მედიდურებით თავს დაგვცქეროდა მთათა მწვერვალები, ზოგი მათგანი თეთრათ მორთული და მარად ჩადრ გადაუხდელი. ქვევით გიჟური თავდავიწყებით, მოთქმით, ზარით და ღრიალით რბოდა მდინარე ცხენის წყალი, აზვირთებული და აფორიაქებული, როგორც ეხლანდელი ქვეყანა.

ჩქარა ლენტეხის სასოფლო კანცელარიაზე მივედით. აქამდე ცაგერიდან გაყვანილი იყო ტელეფონი. გვიამბეს სვანების შთაბეჭდილება, როცა პირველად ტელეფონის აპარატი მოაწყვეს. მატყუილებთ, მაგაში ჩემი ხმა როგორ გავტევა, თუ ბიჭები ხართ სვანურათ და მალაპარაკეთო, სთქვა თურმე ერთმა სვანმა. ცაგერში მუდამ არიან სვანები, დაუძახეს ერთს და დააწყებინეს სვანურათ ლაპარაკი. აქ რაღაც მამაძაღლობა უნდა იყოს, ხათაბალას არაფერს გადავეკიდო, გამიშვითო, დაიძახა თურმე და გაიქცა. უყვართ კი სვანებს ეს ტელეფონი. ამის გარშემო ხალხის სამუშაოთ გამოსვლა და საჭირო ბოძების მოტანა სვანეთში უფრო ადვილათ მოეწყო ვიდრე ლეჩხუმის ზოგიერთ საზოგადოებაში.

მიუახლოვდით ჩოლურს. აქ გაუგმირეს გარდაფხაძეებმა გული ჩვენს პირველ მსხვერპლს—შამშე გელოვანს. აი, ადგილი, სადაც იგი დაჭრილი კვნესოდა, სადაც მისი სიცოცხლე გათავდა ტანჯვით, ტკივილით, უპატრონოთ, უმეგობროთ. ორიოდეს გარდა დაიღუპენ თითონ გარდაფხაძეებიც.

მივედით ლაშხეთში. აქ სოციალ დემოკრატიული პარტიის გავლენა დიდია. შეხვდებით მუშებს, რომლებმაც 15 წლის წინათ დაიწყეს პარტიული მუშაობა სხვადასხვა ქალაქებში. ხალხი ამათ უჯერის, ამათ გავლენის ქვეშ სდგას და სწორეთ ამიტომ აიცილა ბევრი შეცდომები. ვერც ზედასვანეთის ამბებმა და ვერც ლეჩხუმის ანარქიამ ლაშხეთის საზოგადოება ვერ გაიტაცა. აქ ყველა, ქალი და კაცი მთავრობის დახმარებასა და ერთგულებაზე ლაპარაკობს. ლაშხეთში რჩეული, მარჯვე ბიჭებისაგან შემდგარია სახალხო გვარდიის კარგი რაზმი, რომლის ერთი ნაწილი გაგრაში ფრონტზე იყო გამგზავრებული. საზოგადოების ყრილობას მთელი ხალხი დაესწრო. გვკითხავდენ ამბებს: მთავრობა როგორ არის, რუსი ხომ ვერ გვაჯობებსო. ჩვენს მოწოდებას —იარაღის აყრის შესახებ, ხალხი სიამოვნებით შეხვდა. ხალხს ხელის შეწყობა, წინდახედულათ მიდგომა უნდა. უბრალო შეცდომა ხშირად დიდ უხერხულ მდგომარეობას ქმნის. მოგვიტანეს 1917 და 1918 წ. ხარჯის ფურცლები. გლეხობა დაყოფილია, ცალ ცალკე აწერია გადასახადი დროებით-ვალდებულებს, მესაკუთრეებს, სახაზინო გლეხებს. რატომ ხმარობთ ასეთ სახელებს ამ თავისუფლების დროს, სადაც არის აქ ერთობა, გვისაყვედურა ხალხმა. ერთდროულ გადასახადზე, რომელიც ზემოთნაჩვენებ გადასახადს ასჯერ მაინც სჭარბობს, არავის არაფერი უთქვამს, ხოლო ვილაც თავქარიანი მოხელისაგან ხარჯის ფურცლებში ჩაწერილი სიტყვები: დროებით ვალდებული, მესაკუთრე და თავისუფალი გლეხი, ხალხის სულსა და გულში რაღაც ტკივილათ დაძვრებოდა და უხერხულ მდგომარეობას ჰქმნიდა.

ცნობები გვქონდა, რომ ზოგიერთი ძვირფასი, რაჭის მაზრიდან გატაცებული ხარები ზედა სვანებს ლაშხეთში გაეყიდათ. ჩვენ ვესაუბრეთ ხალხს ამის გარშემო. რადგან ერთ სოფელს არ შეფერის მეორე სოფლის ნაძარცვავით სარგებლობა, ურჩიეთ საქონლის პატრონებისათვის დაბრუნება. ხალხმა ჩვენი რჩევა მიიღო, მაგრამ აქ თავი იჩინა ერთმა უხერხულობამ: ზოგიერთებს გაეყიდა თავისი ხარი, ცხენი და სხვა და ისე შეეძინა სიკარგისათვის რაჭველების ხარები. თუ ასეთ გზით შეძენილ ხარსაც წაიყვანდით, ხელში შეგრჩებოდათ დაქცეული ოჯახი. ამაზე მიგვითითა მთელმა საზოგადოებამ. ამ უხერხულობიდან თავის დაღწევათ, შეთანხმებით ავირჩიეთ ჩვენის აზრით უფრო ნაკლებ მტკივნეული გზა: რაჭველებმა თავის საქონელი წაიყვანონ ლაშხელების მიერ გადახდილი ფასის ანაზღაურებით (ეს ფასი უმნიშვნელოა ეხლანდელ ფასობასთან შედარებით), ხოლო საბოლოო ანგარიში შესწორდეს მთავრობის მიერ, ზედა სვანეთის საქმის ლიკვიდაციის შემდეგ, საქონლის გამტაცებლებთან. ეს უკეთესი, ერთად-ერთი გამოსავალი იყო ამ საქმეში, და ასეთი შეხედულება სავსებით გაიზიარა ჩემთან საუბრის დროს რაჭის ერობის და დაზარალებული სოფლების წარმომადგენელმა.

ლაშხეთში გვიამბეს, როგორ მუსრი გაავლო სვანებს „ისპანკამ" და „ტიფმა". გვაჩვენეს სასაფლაო, რომელსაც ამ ბოლოს მკვდრები ვეღარ დაეტევია და რომელიც ეხლა ამის გამო შესამჩნევათ გაუდიდებიათ. ჩვენს დროს ლაშხეთში მუშაობდა ლეჩხუმის ერობის ექიმი ბ. წულეისკირი, რომელსაც უკვე მოესწრო სვანების სიყვარულის დამსახურება თავისი ექიმობითა და ალერსიანი, თავაზიანი საქციელით.

სვანეთში სავალდებულოა და დიდპატივდებაშია ქელეხი. ქელეხში ბევრი ხალხი იყრის თავს და ითრობიან. ეხლა, როცა გადამდები სენი მძვინვარებს, ეს ქელეხი პირდაპირ საშინელებას წარმოადგენს. ერთის მხრივ დამთვრალი, შეჯგუფული ხალხი სენს არ ერიდება და ამ სახით ავადმყოფობა საშინელ მასსიურ ხასიათს ღებულობს. მეორეს მხრივ რადგან ერთსა და იმავე ოჯახში ბევრი იხოცება, ქელეხსაც ბევრჯერ იხდიან და არის ამ ნიადაგზე დაღუპული და დანგრეული ოჯახები.

არა ნაკლები უბედურების მომტანია სვანის ოჯახისათვის ფიცი და სამედიატორო სამართალი. მედიატორეთ ნიშნავენ ხუთიდან ზოგჯერ ორმოც კაცამდე. მთელი ამ ხალხის ქირა და ხარჯი თავს ატყდება წაგებულ მხარეს. ასეთი მედიატორეები გადასწყვეტენ: ამან და ამან დაიფიცოს ამდენი და ამდენი კაცის ფიცში ჩაყოლითო. ფიცში ჩაყოლა იმას ქვია, რომ დაასახელებენ რამოდენიმე პირებს ჩამყოლათ და ამათაც უნდა დაიფიცონ ისე, როგორც მისი ჩამყვანი დაიფიცებს. სხვა რომ ჩაიყოლოთ არ შეიძლება, უნდა უთუოდ ის იქნეს, ვისაც მედიატორე პირველადვე დაასახელებს. თუ ჩამყოლი კაცი ვერ იშოვეთ, ეს სადაო საქმის წაგებას ნიშნავს. ასეთი მაგარი მდგომარეობით სარგებლობენ მედიატორეები და ჩამყოლი კაცები და ხშირათ დიდ სასყიდელს ითხოვენ. მე გამოვიანგარიშე ერთი სამედიატორო სასამართლოს მოსალოდნელი ხარჯები ჩოლურში და 50,000 მან. მიახწია. ქელეხის, ჩამყოლების და მედიატორეების გარშემო სვანი ხშირად ყოველივეს ჰყიდის, რაც აბადია.

ბევრი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე რომ გამოუკვლეველი, შეუსწავლელი და გამოუყენებელია, ეს ერთი უბედურებაა. მეორე უბედურება კიდევ ის არის, რომ ისიც ზოგჯერ უპატრონო და უსარგებლოა, რაც ხელმისაწვდომი და ადვილი გამოსაყენებელია. ლაშხეთის საზოგადოების ერთ ადგილს, რომელსაც სახელად მუაში ქვია, რამოდენიმე სხვადასხვა ნაირი სამკურნალო წყლებია. ამათგან ზოგს სასმელად ხმარობენ, ზოგს საბანებლად და მძიმე ავადმყოფებს შველის, არჩენს. სასმელი მჟავე წყალი, ექიმების აზრით, ერთი საუკეთესოა ჩვენი რესპუბლიკის სამკურნალო წყლებში. იგი ამოჩუხჩუხებს თითქოს ბუნებისაგან განზრახ ამისათვის სილამაზით და მშვენებით მორთულ კარგა მოზრდილ მინდორზე, დაბურულ ტყის ძარში. ზევიდან თავს წარმომდგარი ასწლოვან ჭალარა ნაძვისა და ფიჭვის დაბურული ტყე, ქვევით ლაშხეთის საზოგადოების შესახლობა, გარს შემორტყმული მედიდური, მაღალი, სვანეთის მთები და ამათ შუა გაყოლებული, გველსავით დაკლაკნილ ცხენის-წყლის ხეობა, გიჟი მდინარის დაუსრულებელი მოთქმითა და ღრიალით მოცული, მნახველს ტყვეთამქნელ სანახაობათ აზვევია გარს.

ამ სტრიქონების წერა მიხდება მიწათმოქმედების სამინისტროსთან მუაშის წყლებზე საუბრის შემდეგ. სამინისტრომ უკვე განკარგულება მოახდინა საგანგებო კომისიის მიერ ამ ადგილის მიღებასა და ფონდში გადარიცხვის შესახებ და აღმოთქვა ზოგიერთი ხარჯის გაღება წყლის და ბინების შესასწავლად და მოსაწყობათ.

ერთ კვირაზე მეტი დავყავით ლაშხეთში. ვნახე ლეჩხუმელი ავაზაკების უკანასკნელი მსხვერპლის — ერისტო ონიანის სახლი, რომლის დანგრეული კედლებიდან თავისუფლად გადიოდა ერისტოს დედ მამის და ცოლის გულშემზარავი სვანური ტირილი და იქვე ცხენის წყლის მოთქმას უერთდებოდა. ჩემს წინ იყო კიდევ ერთი ამხანაგის უპატრონო, უნუგეშო ოჯახი.

ხალხმა იარაღი აიყარა. რაც ხანი დავრჩით ლაშხეთში, სულს ახარებდა იქაური ამხანაგების თბილი, სიყვარულიანი დამოკიდებულება. ერთ ერთ ამხანაგურ სუფრაზე მოიყვანეს სვანური თავისებურებით და უბრალოებით სავსე მღვდელი, რომელსაც ცოლი მოკდომოდა და ეხლა მეორე მოეყვანა.

— ხომ არ დამიჭირავს ახალი მთავრობა მეორე ცოლი რომ ვითხოვეო, მკითხა მღვდელმა.

— არა მგონია მეთქი, უპასუხე.

— ვენაცვალე მაგისთანა მთავრობასო, სთქვა მან და ერთი ჩაის ჭიქა არაყი დალია მთავრობის სადღეგრძელოდ.

ამხანაგებმა გამოგვაცილეს. ტკბილი მოგონებებით სავსე გულით გამოვეთხოვეთ მათ და დავსტოვეთ ლაშხეთი.

 რ. ყიფიანი.

# სანეტარო აჩრდილი

იმ შავი დღიდან დაწყებული, როდესაც წმინდა იდუმალებით მოცულ მკვდართა სამეფოში დავასახლე და უკანასკნელათ სამუდამოთ გამოვესალმე ჩემს სიცოცხლეს, ჩემს ნეტარებას,—გულში ჩამიწყდა მთავარი სიმი სიცოცხლისა; იმ საბედისწერო დღიდან ის გულიდან მომწყდა, საშინელი ტკივილებით მომეგლიჯა და დამრჩა მხოლოდ დასახიჩრებული, გამოფულრული გულის მგზავსება, რომელიც ტყვიასავით დამძიმდა; იმ წამიდან მოკიდებული, როდესაც მისი თბილი საფლავის თავიდგან ცოცხალ მკვდარმა ჩამქრალი თვალი სასოწარკვეთილებით მოვავლე დათალხულ მზეს, ბურუსის შავ-კალთებში გახვეულ მთა წმიდას და ხახვ-გაცრეცილ თფილისს,—სევდამ თავისი დალი დამასვა, სახე შემალა, ჩააშავპირბნელა.

გაჰქრა უდარდელი ღიმილის თრთოლა-თამაში და დაფლეთილი გული სამუდამოთ დაითალხა.

დაბნელდა, ჩამოწყვდიადდა; უდაბნოთ იქცა ბუნება, კოშმარით ცხოვრება.

მაგრამ სხვა გზა არ იყო და ამიტომაც შევნებისა და შეძლების კვალთ კვალად ვებრძვი ამ სოფლის წარმაუკუღმა ტრიალს.

და აი ამ ბრძოლის დროს მამხნევებს მისი ციური ნეტარება—აჩრდილი, რომელიც ხან ცხადათ და ხან ფარულათ პეპელასავით ნაზათ თავს მევლება.

სიზმარში, თუ ცხადში ყოველ დღიური ფუსფუსის და ყაყანის შემდეგ დავრჩები თუ არა ჩემს თავთან მარტო, მსწრაფლ წყვდიადიდგან მოფრინდება გაბრწყინვებული სახით ჩემი ღვთაება, ნეტარი, ციური ღიმილით თავს დამადგება მისი ცხოველი სურათი, თავის ნორჩ მკლავებს ყელზე შემომაწნავს და ჩვეულებრივ კვლავ სანეტაროთ მეალერსება!..

მისი უმანკო, წმიდა თვალები ჩემი გულის ბნელ და ცივ ჯურღმულებში ციურ სხივებს აფრქვევენ, ანათებენ და იარებს აშუშებენ. გიშრის ცელქი დალალები საოცნებოთ ირხევიან კდემამოსილებით ალხავსე მის თლილ ყელყურზე; ხოლო ციურ ცეცხლ მოდებული მისი უმწიკვლო ტუჩები ბედნიერების ნექტარს კვლავ ხანგრძლივათ და უხვათ მასმევენ.

და აი ასეთ წამებში მე ჩემ თავს აღარ ვეკუთვნი, ამ ცხადი სიზმრის ერთსა და იმავ დროს ჯოჯოხეთსა და ნეტარებას განვიცდი; თვალთათაგან ნაპერწკლები მცვივა და გენიაში ვიწვი, ვიდაგვი...

ასეთ განცდის ჟამს მე ვწყდები, ვშორდები დედა მიწას და ჩემ ნეტარებასთან ერთად მივფრინავ სადღაც შორს, შორს, მშვენება-ნეტარების თვალწარმტაც ქვეყანაში..

და ადგვართ იმ სიმაღლეზე, საიდგანაც ხელის გულსავით მოსჩანს ყველაფერი.

დიდი და პატარა, ავი, თუ კარგი, წამი და საუკუნო, საბჭო და საიქიო,—ყველაფერი სწორდება, ყველაფერი ერთი და იმავე საწყაოთი ირწყება.

ამ მწვერვალზე თვით სიკვდილ-სიცოცხლე ერთიმეორეს ურიგდებიან, ერთმანეთს უკავშირდებიან და ეკონებიან.

აქედანვე ნათლათა სჩანს სიკვდილ სიცოცხლის მთლიანი ჯაჭვი, რომელიც შავი უფსკრულიდან სინათლეზე ამოდის და ცოცხალ რგოლებათ იშლება; წუთით სოფლათ სიცოცხლის შემდეგ კი ისინი ამ სოფელს სწყდებიან და იმავ უფსკრულში სამუდამოთ ინთქებიან.

და აი ამ პირ ლია, საზარელ უფსკრულში წელიწადია, რაც ჩამივარდა ჩემი სიცოცხლის მთავარი რგოლი, რომელმაც თან ჩაიტანა გული, სული, გონება. მანვე შთანთქა მშობელნი და მათი სიცოცხლის გამაგრძელებელი სხვა ტოტებიც; და ამიტომაც არის, რომ ახლა მის პირათ ასე უმწეოთ ფართხალებს ჩემი დაობლებული გულ გონება!

ჰა ყოფილა ადამიანი, რომელიც თავს ღმერთად, მეფედ და მთელი ბუნების გვირგვინათ ისახავს.

ირგვლივ არარაობაა, მკვდარია ყველაფერი; სასაცილო და სატირალ ტრაგიკომედიათ ქცეული ცხოვრება თანდათან შავათ ითალხება, მუქი ნისლით იბურება.

მხოლოთ ჩემი სანეტარო აჩრდილი ნათლის სვეტათ წყვდიადში ანთებული ანდამატივით მიზიდავს თავისკენ და ნეტარებას უხვათ მასმევს.

ამიტომაც არის, რომ მწამს, მინდა ვიწამო, რომ ის იქ არსებობს, უკვდავლათ უნდა არსებობდეს; და როცა იქნება მე მას პირისპირ ცოცხლათ ვნახავ, ვეამბორები!

ხ. პართენაშვილი.

# ჩემი პასუხი

(გაზეთ „შრომის" კორესპონდენტს).

ცოტა დაგვიანებით ბ ნმა ნოსირელმა მოინდომა ჩემი მოხსენების გაბათილება უკრაინის შესახებ. ის გაჯავრებულია იმაზე, რომ მე მიწის სოციალიზაციის კანონს, უკრაინის რადის მიერ გამოცემულს, სენაკში დიდი პატივისცემით არ მოვეპყარი. რასაკვირველია, მე არ მითქვამს, რომ გადატრიალების „უმთავრეს მიზეზათ მიწის სოციალიზაცია არ ღმინიშნია". მე კარგად ვიცი და ვსთქვი, რომ უკრაინაში გადატრიალება გამოიწვია გერმანიაში არსებულმა ძალთა განწყობილებამ. ეს იყო უმთავრესი მიზეზი. მაგრამ იმავე დროს ისიც აღვნიშნე, რომ გლეხების ერთი ნაწილი უკმაყოფილო იყო მიწის სოციალიზმით. დღეს ამაზე დავა საინტერესო არ არის, რადგანაც უკრაინის დირექტორიამ უკვე უარყო სოციალიზაცია. ეგებ ესეც არა სჯერა ბ-ნ ნოსირელს?

თქვენ არ მოგეწონათ, რომ მე პურზედ ვილაპარაკე. ის მართლა ღირდა ბალშევიკების დროს 130—140 მანეთი გირვანქა. გლეხები ქალაქს პურს არ აძლევდენ. ამის მიზეზებიც აღვნიშნე. რატომ იცით? ზოგიერთი ნოსირელი გლეხი ფიქრობს არა კომუნისტურ სისტემაზედ და სოციალიზაციაზედ, არამედ გონია, რომ რუსეთიდან თეთრი პური ჩამოვა. ასეთი ცრუ-მორწმუნეობა უნდა დაინგრეს, და პარტიებ შორის კამათს მართლაც პროგრამული ხასიათი უნდა მიეცეს.

ბ. თევზაია.

# დილა სახელმწიფო თეატრში

კვირას, 16 ნოემბერს სახელმწიფო თეატრის დარბაზში გაიმართა დილა. პირველ განყოფილებაში ლექციები წაიკითხეს გრ. ლორთქიფანიძემ: „სოციალური რევოლიუცია და რუსული კომუნიზმი" და პროფ. სიმ. ავალიანმა: „საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა და მისი შედეგები". პირველმა ლექტორმა მეცნიერულათ და მდაბიოთ დაასურათა, თუ რა არის სოციალური და სოციალისტური რევოლიუცია, როგორი პირობებია საჭირო, რომ შესაძლებელი იქნე სოციალიზმის განხორციელება და დაამტკიცა, რომ რუსულ კომუნიზმს არავითარი მსგავსება არა აქვს სოციალიზმთან.

მეორე ლექტორი შეეხო რუსეთის საბჭოთა მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას და ციფრებით ხელში დაამტკიცა, რომ, მიუხედავათ ამ პოლიტიკის გრანდიოზულ სახისა, სათანადო ეკონომიურ და სოციალურ პირობების მოუმზადებლობის გამო,—მან სრული კრახი განიცადა პრაქტიკაში და სახალხო მეურნეობის დაქვეითება გამოიწვია (ლექციების დაწვრილებითი ანგარიშს ცალკე მოვათავსებთ ჩვენს გაზეთში).

საკონცერტო განყოფილებაში იმღერეს: ბ. თარხან მოურავმა, ქ. ადასოვაკალანდაძემ და ბ. ი. სარაჯიშვილმა. დამსწრე საზოგადოება მომღერლებით დაკმაყოფილებული დარჩა.

ბოლოს წარმოდგენილი იქნა ერთ მოქმედებიანი პიესა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან: „ქალის 1001 ცბიერება", ამ პიესის პატარა შინაარსი საკმაოთ ცნობილია, რომ აქ საჭირო იყოს მასზე ლაპარაკი. მის იდეის მიხედვით, ჩემის აზრით, სრულებით არ იყო საჭირო და მიზანშეწონილი ამ პიესის ერთ დილაში ზემოთ დასახელებულ შინაარსიან ლექციებთა გვერდით მოთავსება. რაც შეეხება როლებს ასრულებას, უნდა ითქვას, რომ ეს მხარე თითქმის უნაკლო იყო. განსაკუთრებით სწორათ და ხელოვნურათ შეასრულა ქ ნ [illegible]. ანდრონიკაშვილმა ფატმას როლი და ზედ მიწევნით აგრძნობინა [illegible] ებას პიესის [illegible]. ასეთივე უნაკლო იყო [illegible] როლში.

საზოგადოთ დილა საკმაოთ დამაკმაყოფილებულ შინაარსიანი იყო. მასსისათვის, ფართე საზოგადოებისათვის მდაბიო, გასაგებ ენაზე წაკითხულ მეცნიერულ შინაარსიან ლექციებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით დღევანდელ მომენტში.

პარტერი № 56.

# მიწათ მოქმედების სამინისტროსაგან

**ერობის საადგილმამულო განყოფილებას და სარაიონო კომისიას.**

მიწათ მოქმედების სამინისტროში ცნობები მოდის, რომ მამულის მიღებას ბევრ ადგილას მარტო მიწის მზომელი აწარმოებს. ზოგიერთ შემთხვევებში ეს იწვევს ბოროტმოქმედებას: მემამულეებს უტოვებენ მეტ ნორმებს, არ ხდება ფაქტიური გამორკვევა კერძო პირთა მიწათ-მფლობელობის რაოდენობისა და საზოგადოთ რეფორმის აზრი და მნიშვნელობა მახინჯდება, რაც სამართლიანად იწვევს საყვედურს და უკმაყოფილებას მცხოვრებლებში.

მივაქცევ რა ამას თქვენს ყურადღებას, დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ მიწების მიღება-განაწილება ყველგან და ყოველთვის ხდებოდეს თანახმათ კანონისა და ინსტრუქციების. კერძოთ, მამულების ჩამორთმევის დროს აუცილებლათ უნდა იხელმძღვანელოთ 1919 წლის 15 აპრილის ინსტრუქციის მე 3 მუხლით. ამ ინსტრუქციით მამულის მიმღებ კომისიაში უსათუოდ უნდა შედიოდეს თავმჯდომარეთ სარაიონო კომისიის მდივანი, წევრებათ მიწის მზომელი, ერთიერთი წევრი სარაიონო კომისიისა და სოფლის კომისარი. აქტი ყველას მიერ ხელმოწერილი უნდა იყოს. მამულის მიღების დროს ეს პირები აუცილებლათ უნდა დაესწრენ. საადგილ-მამულო განყოფილების ინსტრუქტორები ვალდებულნი არიან მუდმივ ადევნონ თვალყური კომისიების მუშაობას და შენიშნული უწესოებანი და დეფექტები დაუყონებლივ გაასწორონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პირადათ აგებენ პასუხს კომისიების უწესო მოქმედებაში.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ ენერგიული ზომები მიიღოთ კომისიების მუშაობის წესიერ კალაპოტში ჩასაყენებლათ და კანონისა და ინსტრუქციების ცხოვრებაში გასატარებლათ. ამ გაფრთხილების შემდეგ მე იძულებული ვიქნები სასტიკი ზომები მივიღო იმ დაწესებულებათა და პირთა წინააღმდეგ, რომელთაც კანონით რეფორმის გატარება დაავალებული აქვთ და თვისი დაუდევრობით და ბოროტი განზრახვით საქმეს აფერხებენ და კანონს არღვევენ.

დაინტერესებულ პირთ და დაწესებულებებს გთხოვთ მათ მიერ შენიშნული უკანონობა და უწესოება მაცნობონ პირადათ მე ან სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებას.

მიწათ მოქმედების მინისტრი

ნ. ხომერიკი.

# რკინის გზაზე

ჩვენი რესპუბლიკის საამაყო სწრაფი მატარებელი № 1. ელექტრონით განათებული, სუფთა, კონდუქტორები სამსახურში გაჭადარავებულნი, შერჩეულნი, ზრდილნი. საერთაშორისო არეულ დარეულ ხანაში ასეთ მატარებელს აღტაცებაში მოჰყავს მეტადრე უცხოელები, განსაკუთრებით კი განადგურებულ რუსეთიდან დაბრუნებულნი. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი რესპუბლიკის დაუძინებელმა მტერმა ეს მატარებელი ამოიღო ნიშანში და განსაკუთრებით თითქმის მუდამ მის დამახინჯებას ლამობს, მაგრამ სრული იმედია ეს მატარებელი ისევ ისე დარჩება თავის ძველი შტატით, როგორც დღემდე იყო.

ბედმა თუ უბედობამ მარგუნა ხშირი მგზავრობა, ვაკვირდები რკინის გზის მოსამსახურეებს და სიმართლე უნდა მოგახსენოთ, მიკვირს როგორ ადრე გაიწმინდა ის „ხელ მრუდ" მოსამსახურეთაგან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი კონდუქტორი მგზავრის უბილეთოთ წაყვანას აღარ კადრულობს. ბევრჯერ კონდუქტორთა ერთგულება მეტია, ვიდრე მათი უფროსების, მათმა ერთგულებამ მგზავრებიც შეაჩვია მოქალაქეობას, ძველებურად აღარც მგზავრები კადრულობენ რკინის გზის დაზარალებას. დღევანდელ პირობებში დიდი ყურადღების ღირსია რკინის გზის მოსამსახურენი— მემანქანე-კონდუქტორ-მცველები, აშკარაა, მათ რომ მოქალაქეობრივი შეგნება და რესპუბლიკის სიყვარული არ ჰქონდეთ, მარტო მცირე ჯამაგირისთვის არ იმსახურებენ და ასე მუყაითერთგულად.

მგზავრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სატარიფო პალატაში

(10 ნოემბრის სხდომა)

**ცხოვრების გაძვირება პროვინციაში.**

გ. ნ. მანდელშტამი სხდომას მოახსენებს, რომ პროვინციაში ცხოვრების გაძვირების პროცენტი ასეთია.

1 ივლისიდან ცხოვრება გაძვირებულა სოხუმში—43,12 პროც., ფოთში—33,06 ქუთაისში—5,9; თელავში—48; ბორჯომში—8,95; ოზურგეთში—14,66; სამტრედიაში—21,44; ახალ სენაკში—0,79; და ახალციხეში—18,72 პროც.

პროვინციისათვის ხელფასის გადიდების რაოდენობის შესახებ მცირე კამათის შემდეგ პალატა ადგენს პროვინციაში გაიგზავნოს სატარიფო პალატის სესია შემდეგი დირექტივებით:

1) პროვინციისთვის მომატება საშუალოდ უნდა უდრიდეს 40 პროც.

2) ცხოვრების გაძვირების პროცენტი ადგილობრივ უნდა გამოირკვეს.

3) რადგანაც განზრახულ მომატების მიზანია საშუალება მისცეს მუშებს მეტი საგნები შეიძინოს მომარაგების ფონდიდან, ტარიფის დაწესების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს თფილისში არსებული ფასები ფონდიდან მისაცემ საგნებზე.

**ტარიფების დამტკიცების წესი.**

ტარიფების დამტკიცების წესის შესახებ სატარიფო პალატა იღებს შემდეგ დადგენილებებს:

1) თუ ტარიფი წესდება 40 პროც. ნორმალურ მიმატებით და უთანხმოებას არ იწვევს მეწარმეებელთა და მუშათა შორის და პრეზიდიუმში, უკანასკნელი ამტკიცებს ტარიფს პლენუმში გადაუტანლივ.

2) თუ ორივე მხრის უთანხმოებით ტარიფში შესწორებები შეაქვთ, ამ შემთხვევაშიაც მას პრეზიდიუმი ამტკიცებს.

თუ რაიმე უთანხმოება მოხდა მუშათა და მწარმოებელთა შორის და პრეზიდიუმში ტარიფის დამტკიცება პლენუმში გადად[illegible]

**ხხვადახხვა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა ტარიფები.**

მცირე კამათის შემდეგ პალატა ადგენს: ბორჯომის საავადმყოფოს და მილიციის მსახურებზე გავრცელდეს 1 აგვისტოდან დეკრეტი 30 პროც. მომატების შესახებ.

სომეხ ექიმთა მოსამსახურეებს მიემატოთ 50 პროც. ნოემბრის 1-დან.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის წესდება 20 პროც. მიმატება 1 აგვისტოდან.

ბამბის დამაწმენდ და საქსოვ ქარხნების მუშებს და მოსამსახურეებს 1 სექტემბრიდან კიდევ ემატებათ 15 პროც.

ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის მოსამსახურეთათვის წესდება თვეში 200 მანეთი ბინით და ჭამა სმით.

**ახალი ტარიფების დამტკიცების შესახებ.**

თანახმათ დობორჯგინიძის განცხადებისა, სატარიფო პალატა ადგენს წინადადება მიეცეს პრეზიდიუმს უახლოეს დღეებში თფილისისთვის ყველა ტარიფები შეიმუშაოს და დაამტკიცოს. სადაო ტარიფების განსახილველად კი 13 ნოემბრისათვის სატარიფო პალატის საგანგებო სხდომა დანიშნოს.

## ტარიელ მელიტონის ძე ყენია

10 ნოემბერს დაბა ჩოხატაურში კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში იქნა მოკლული სახალხო გვარდიელი ტარიელ ყენია. ტარიელს კარგათ იცნობდენ გურიის ს. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციები, როგორც დაუღალავ მებრძოლ ჭაბუკს და ენერგიულ მუშაკს. ტარიელის სახით დავკარგეთ საუკეთესო მებრძოლი და უანგარო საზოგადო მოღვაწე. მოჰკლეს ის, ვინც თავისუფლებას თავდადებით იცავდა, მოჰკლეს ის, ვინც თავის პირადი ინტერესი მუშათა კლასს შესწირა, ვინც თავგამოდებით იცავდა ხალხს ანარქიისაგან. მოჰკლეს თავდადებული მებრძოლი და ყველასათვის საყვარელი ტარიელ მელიტონის ძე ყენია.

ჩვენთან ერთად აღზრდილი ტანჯვაში და გაჭირვებაში, ტარიელმა დაუმტკიცა სხვა ამხანაგებს თუ როგორ უნდა შეეწიროს ადამიანი თავისუფლებას. მისი ხსენება საუკუნოდ დარჩება მის თანამებრძოლ ამხანაგებ შორის.

ქრისტინეშვილი.

## სახ. გვარდიის შორის

**კულტურულ განმანათლებელი მუშაობა გვარდიაში.**

სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა მტკიცე ნიადაგზე სდგება, არის ამორჩეული კომისია, რომელსაც წიგნთსაცავ სამკითხველოს გახსნა აქვს განზრახული. ხსენებული კომისია სთხოვს ყველა კერძო პირებს, რევოლიუციონურ და პარტიულ ორგანიზაციებს დაეხმარონ ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს წიგნების და ჟურნალ გაზეთების შემოწირვით.

მოქალაქენო, ნუ დაიშურებთ, ყოველს წიგნის ან ჟურნალ-გაზეთის შემოწირვით თქვენ ემსახურებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის უკეთეს მოქალაქის გვარდიელის გათვითცნობიერებას და ამით კი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

შემოწირულება მიიღება საპიორის ქუჩაზე № 23, საგანგებო ბატალიონის შტაბში ადიუტანტთან ბ. ტოპერმანთან და სექციის მდივანთან ა. ჭუმბაძესთან.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 9 ნოემბერს, შესდგა ს. ს. დ. მეორე რაიონის ქალთა საზოგადო კრება მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო: 1—მოხსენებები, 2—კოლექტივის არჩევა და მიმდინარე კითხვები.

მკერავ ქალთა პრ. კავშირის შესახებ მოხსენებას აკეთებს ალ. მახვილაძისა. მომხსენებელი აცნობს კრებას კავშირის მნიშვნელობას, მუშაობას და იმ არა სასიამოვნო დეფექტებს, რომელსაც ადგილი ჰქონია კავშირის ცხოვრებაში და რომელიც გამოწვეულია მით, რომ რაიონების წარმომადგენლებათ მოხვდენ ზოგიერთი არა სასურველი პირები, რომლებიც უფრო იცავენ თავიანთ კერძო ინტერესებს, ვიდრე საერთოს. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ჩაეწერონ მკერავ ქალთა პრ. კავშირის წევრებად, ამასთანავე დაევალოს ახლად არჩეულ კოლექტივს, რომ ჩაწერა წევრად მოწყობილ იქნეს ყველა რაიონებში.

მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს მ. ტოროშელიძისა, შეკითხვების და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: რადგან დღევანდელ საბედისწერო მომენტში ქალების ხმა არ ისმის და ქალებს კი ბევრის გაკეთება შეუძლიათ, ამიტომ დაევალოს ქალთა კომიტეტს მიმართოს ყველა ქალთა ორგანიზაციებს და საქ. რესპუბლიკაში მცხოვრებ ქალებს მოწოდებით, რომ ქალებმა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადონ მათ, ვინც ცდილობს ძირი გამოუთხარონ ჩვენს თავისუფლებას.

კრებამ დაადგინა: აირჩიონ 11 წევრი და 5 კანდიდატი, სამი სარევიზიო კომისიაში. კოლექტივში ერთხმად არჩეული იქნენ: მ. ტოროშელიძისა, ს. ფლენტისა, ც. დარახველიძე, მ. ბერიანიძე, კირტაძე ლ., გვასალია ს. დანარჩენები ხმის უმრავლესობით: გვრიტიშვილისა ნ., გამყრელიძე, ძ. ბაქრაძისა, იბრაგლიძე, რაზმაძე. კანდიდატები: მიქიაშვილი, კუტალია, შუბაშვილი, დოლონაძე და ზაქარიაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრნი: დეკანოზიშვილი ნ., ელიავა ნ., კანდელაკი ს. ცა.

სუფსა. 11 ნოემბერს, მოხდა სუფსის რაიონის ს. ს. დ. კოლექტივის საგანგებო სხდომა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ცენტრიდან, 2) მოხსენება ადგილებიდან, 3) სარევიზიო კომისია. სამაზრო გვარდიის კადრის შესაგროვებლათ 2 ამხ. გაგზავნა.

— გურიის ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ბ. ქანტურია, რასაც კრება უცვლელად ამტკიცებს.

— გვარდიის რეზერვის შესადგენათ, დაევალათ იაჩეიკების წარმომადგენლებს, შეადგინონ აღწერა გვარდიელების და სია წარმოადგინონ არა უგვიანეს ერთი კვირისა.

ადგილებიდან მოხსენებით კრება დაკმაყოფილდა.

კადრის შესავსებათ მიენდო პრეზიდიუმს, ორი საიმედო ამხანაგი გამოყოს და გაგზავნოს შესადგენ რეზერვიდგან. წიალობნელი.

## მუშათა შორის

**თფილისის სამხედრო გოსპიტალი.** ადგილობრივ მოსამსახურეთა კლუბის გამგეობა ენერგიულად მუშაობს, რათა დააკმაყოფილოს მოსამსახურეთა სულიერი მოთხოვნილებანი. კლუბს აქვს თავის სამკითხველო, სადაც გამოწერილია რუსულ-ქართული გაზეთები, რომლითაც სარგებლობენ ავადმყოფი ჯარისკაცებიც. კლუბში იმართება წარმოდგენები და ლექციები. ამ ცოტა ხნის განმავლობაში წაკითხულ იქნა სამი ლექცია: ამხ. ათაბეგ ტუმისმა წაიკითხა ლექცია „საბჭოთა რუსეთზე", გ. კოტეტიშვილმა „თანამედროვე მომენტი და ჩვენი ტაქტიკა". კვირას, 9 ნოემბერს გამართულ სალამოზე დამფუძნებელ კრების წევრმა ამხ. გრ. გიორგაძემ გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. რამაც ხალხი ძლიერ კმაყოფილი დასტოვა, ლექციის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „თფილისის სამხედრო გოსპიტალის მოსამსახურეებმა მოვისმინეთ რა მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის გრ. გიორგაძის მიმდინარე მომენტზე, სავსებით მხარს ვუჭერთ ხალხის უზენაეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას გადადგმულ ნაბიჯებში ქვეყნისა და თავისუფლების დასაცავათ. წყევლას და კრულვას ვუთვლით იმ ბნელ ძალთა ხროვას, რომელთაც უნდოდათ წაელეკონ ჩვენი მონაპოვარი თავისუფლებანი და ქვეყანა გახვიონ ანარქიის ალში. კრება ითხოვს მთავრობისაგან სასტიკ და დაუნდობელ ზომების მიღებას ავაზაკებისა და დეზერტირების წინააღმდეგ და ყოველივე გადადგმულ ნაბიჯებს ამ მხრივ მხარს დაუჭერს".

უნდა აღვნიშნოთ, რომ კლუბი განიცდის უსახსრობას, ის მცირედი თანხა, რომელიც საავადმყოფომ გაიღო, ჯერაც არ მიუღია კლუბს. საჭიროა სამხედრო სამინისტროსთან არსებულმა კულტურულ განმანათლებელმა სექციამ მიაქციოს ყურადღება კლუბს და დაეხმაროს მას, როგორც მატერიალურად, ისე კულტურულად. პ. ლეხელი.

## პროვინცია

**ხოვ. ხოვლე** (გორის მაზრა). რამდენადაც სოფელი ხოვლე მდიდარი და მშვენიერია მდებარეობა—ჰაერით და სასმელი წყლით, იმდენათ მცხოვრებლები შეგნებით და სწავლა-განათლებით დაბლა სდგანან და ქონებითაც ღარიბები არიან. მოგვეპოვებიან ნასწავლი ხალხიც, მაგრამ რა გააჩერებთ მათ სოფელში, როდესაც გლეხკაცები ცუდის თვალით უყურებენ ნასწავლ ხალხს. ამიტომაცაა, რომ ინტელიგენციამ ჯერ ვერ მოიკიდა ფეხი სოფლად, რომ პრაქტიკული მუშაობა გააჩაღოს. გლეხები უფრო ნაძირალებს და პროვოკატორებს უჯერებენ, ვიდრე თავის მეზობელ ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ პირებს. 500 კომლიანი სოფელი ხოვლე სულ უპატრონოთაა მიტოვებული. არავითარი კულტურული საქმე არ არის დაწყებულ გაკეთებული. არა აქვთ სამკითხველო, არც რიგიანი კოოპერატიული დუქანი და სხვა კულტურული დაწესებულებანი, როდესაც სხვაგან, უფრო ხოვლეზე პატარა სოფლებში კულტურული დაწესებულებანი უკვე დიდიხანია არის. მთელ ხოვლეში გადახმა ვაზები და ამ შიმშილობის დროს გლეხები ჰირნახულისგან ხდიან თავ არაყებს და იწამლებიან დღეში ბუდიანად. ასეთ უკულტურობა შეუგნებლობის მიზეზია, რომ სოფელში ადგილი აქვს ათას დაუჯერებელ ჭორებს, უპატივცემულობას და გაუტანლობას ერთმანეთისადმი, იაკვრა გაგლეჯას და ათას სისაძაგლეს. არიან შეგნებული დარბაისელი გლეხკაციც, რომლებიც სოფელს ურჩევენ და აყენებენ წესიერ გზაზედ, მაგრამ ნათქვამია: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს"-ო.

ამას წინად აქ უცნაური ამბავი მოხდა,—ვიღაც ორი კაცი მოსულა ამა წლის 8 ნოემბერს და უთქვამთ ხალხისთვის: „ჩვენ ახალი ბალშევიკური მთავრობის კაცები ვართ, თფილისში და გორში გადააყენეს თქვენი მთავრობა"-ო, ამ პირებმა გააბრიყვეს რამდენიმე გლეხკაცები, ააფორიაქეს, აიწიკეს რამოდენიმე ოჯახი, იარაღი აჰყარეს, ზოგი სოფელში დაატუსაღეს, ზოგიც ახალქალაქში გადარეკეს, მეზობელი მეზობელს გადაჰკიდეს, მიჰკრეს-მოჰკრეს და გაიქცნენ. სოფელმა ძალიან დააშავა, რომ ისინი იმ საათში არ დაატუსაღა. შეიტყო-რა გორის მაზრის კომისარმა ივ. ქარცივაძემ ფიცხლავ გამოჩნდა სოფლებში თავის რაზმით და ხიმშიაშვილის ცხენოსან გვარდიის დივიზიონით. კომისარმა მოსთხოვა სოფელს მეაბოხენი და ამრევ-დამრევნი. აქ სოფელმა იგრძნო-რა სუსხი და ძალა მთავრობისა, იკადრა ასრულება ივ. ქარცივაძის მოთხოვნილებისა. სოფელი უპატრონოთაა მიტოვებული. საჭიროა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიექცეს. მიხო ხოვლელი.

ფოთი. გასული თვის 25, 26 და 27 დამფუძნებელ კრების წევრმა ის. რამიშვილმა გააკეთა მოხსენებები მომენტზე: ქალთა წრის მიერ გამართულ ლიტერატურულ სალამოზე ადგილობრივ ცირკის შენობაში, ნავთსადგურის და მეზღვაურთა კავშირის მუშებში (უკანასკნელებთან რუსულათ) მოხსენებებს ხალხი ბლომათ დაესწრო და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა მსმენელებზე. მას სთხოვეს მუშებმა თვეში ერთხელ მაინც გვინახულეო. საჭიროა ასეთი ლექციები ხშირათ იმართებოდეს, რასაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ხილობანიძე

## წერ. რედაქციის მიმართ

გაზეთ „ერთობის" 14 ნოემბრის ნომერში (1919 წ. № 260) ვინმე ორი იქსი გურიის ს. ასკანიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში, ასწერს რა ტუსკიას გაძარცვას და ასკანის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებას თუ უმოქმედობას, სხვათა შორის მიხსენიებს მეც. ის სწერს: „ტუსკიას თურმე ჯერ კიდევ ენკენისთვეში მიუცია წერილობითი განცხადება დამფ. კრების წევრის კ. ნინიძისათვის, რომელშიაც ატყობინებს გაძარცვის ამბავს და ასკანის ადმინისტრაციის უმოქმედობას. საინტერესოა რა ბედი ეწვია იმ განცხადებას, თუ ასეთი მართლა მიღებული აქვს ბ. ნინიძეს".

რომ არავინ იფიქროს, ვითომ მე ყურადღება არ მივაქციე ტუსკიას განცხადებას და საერთოდ ამ საქმეს, საჭიროდ ვთვლი განვაცხადო შემდეგი: ტუსკიას გაძარცვის ამბავი მე სოფელში ყოფნის დროს გავიგე, მითხრეს ისიც, რომ ასკანის ადმინისტრაცია საქმის ჩაფუჩეჩებას აპირებსო, მაგრამ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია ამისთვის, რადგან ვერ წარმომედგინა, თუ ადმინისტრაცია, რომელიც პარტიულ ამხანაგებისაგან შესდგება, მართლა არ აასრულებდა თავის მოვალეობას. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ (ოცს თუ ოცდა ერთ ენკენისთვეს) მე მივიღე პლატონ ტუსკიას წერილობითი განცხადება, რომელშიაც მაცნობებდა, რომ ძმებმა ნიკო და სევასტი ვასაძეებმა ის გაძარცვეს და დაჭრილი დააგდეს და რომ მის განცხადებას ყურადღებას არ აქცევს ასკანის ადმინისტრაცია. რადგან, როგორც ცნობა მქონდა, ბ. ტუსკია თვით ყოფილა თემის (აცანის) თავმჯდომარე, მე იმის განცხადების სიმართლეში და რიგიანობაში ეჭვი არ შემპარვია, ამიტომ ოზურგეთის უბნის გამომძიებელს ვაცნობე ეს ამბავი ჯერ წერილით და შემდეგ დეპეშით.

მე პირადი გამოძიებითაც დავრწმუნდი ერთ რამეში: ასკანის ადმინისტრაციის უკანონობაში. ეს უკანონობა და შთიხატა შემდეგში: ტუსკიას განცხადება არად მიიჩნიეს, ოქმი არ შეადგინეს რამდენიმე დღის განმავლობაში, შემდეგ შეადგინეს ერთ ძმაზე და ისიც გააქციეს. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ უნდა განვაცხადო, რომ მე ნიკო და სევასტი ვასაძეებს არც დამნაშავეებათ ვთვლი ამ საქმეში და არც უდანაშაულოთ, ერთ მათგანს მე არც კი ვიცნობ, მაგრამ გამოვდივარ შემდეგი მოსაზრებიდან: რაკი ტუსკიამ ისე კატეგორიულად დაადო ხელი და მძიმე დანაშაული დააბრალა, ადმინისტრაციას ზომები უნდა მიეღო. ჩემს შეკითხვაზე თემის თავმჯდომარე წიტაიშვილმა და მდივანმა თალაკვაძემ განაცხადეს შეცდითო, მაგრამ მათი განცხადება არ იყო სწორი, რადგან მათ აშკარათ გაუშვეს ხელიდან ისეთი პირი, რომელსაც მძიმე ბრალი ედებოდა...

როცა თფილისში ჩამოვედი, ეს ამბავი პალატის პროკურორს ვაცნობე და ტუსკიას წერილიც მას გადავეცი.

პალატის პროკურორმა საქმეს მსვლელობა მისცა. მე კარგათ ვგრძნობ, რომ ქუთაისის პროკურორის ამხანაგი, რომელიც ოზურგეთში ჩასულა, მაგრამ თითონ ასკანაში ასვლა ვერ მოუხერხებია, ბევრს ვერაფერს გამოარკვევდა, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია ერთი რამ: თუ გამომძიებელმა ვერ დაინახა შესაძლებლად დაკავება ორივე ვასაძის ან ერთის მაინც (თუმცა პალატის პროკურორმა პირადათ მაცნობა გამომძიებლის ცნობით, რომ დაჭერის ბრძანება გაცემულიაო), რატომ არ არის პასუხისგებაში მიცემული ბ. ტუსკია, რომელმაც ზემოთ აღნიშნული წერილობითი განცხადება მომცა. ორში ერთი: ან ტუსკიამ მაშინ დასწამა საშინელი ბრალი უდანაშაულო ვასაძეებს, როცა განცხადება მომცა. ან და შემდეგ რამე მოსაზრებით მალავს ბოროტმოქმედებას.

ამის გამოძიება გამომძიებლის მოვალეობას შეადგენს და მე კიდევ არ ვკარგავ იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს სიმართლე მაინც გაიმარჯვებს. პირადათ ჩემს შესახებ კი ის მინდა ვთქვა, რომ მე ჩემი მოვალეობა შევასრულე, ტუსკიას განცხადება პროკურორს წარვუდგინე და თუ უფრო ენერგიულად არ ჩავერიე ამ საქმეში ასკანაში ყოფნის დროს, ეს იმიტომ, რომ მეტი ნდობა მქონდა, როგორც ადმინისტრაციის, ისე ჩვენი პარტიული მუშაკების.

დასასრულ ვფიქრობ, რომ ასკანაზე ბევრი რამ დაიწერა ისეთი, რაც სახელს უტეხავს იქაურ მომუშავეებს და მეტი არ იქნებოდა ცენტრიდან გაგზავნილი ყოფილიყო ვინმე საქმის გამოსაძიებლად. მიკვირს, ამას რატომ არ თხოულობენ თითონ ის პირები, რომელთაც ბრალს სდებენ. კირილე ნინიძე.

## ცნობები

გიორგი უტუს ძე კეკელია მსახურობდა მწყრალად ქ. კამენეც პოდოლსკში, მე-47 ქვეითა უკრაინის პოლკში, 1914 წ. 10 აგვისტოს ჩავარდა ტყვედ. იმყოფებოდა ავსტრო-უნგრეთში ლაგერი ვულგარში. ორი წელიწადია რაც მისი არაფერი ვიცი. ვ'თაოვ ვინც იცის რამე ამის შესახებ, შემატყობინონ შემდეგი მისამართით: თფილისი, მოსკოვის ქ. № 24. ივლიანე კეკელია.

## განცხადებანი

ექიმი ნ. დ. [illegible]

იღებს ავადმყოფებს შინაგან, საშვილოსნო და ქალურ სნეულებით ყოველ დღე დილის 11—1 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 10—12. (თ —3028)

სახელმწიფო მამული „სკრა"

ნამყენი ხეხილი მაღალი და თესლეულობა

**მოიკითხეთ კატალოგი**

სად. სკრა—გორის მაზრა. (2906—10—7)

## სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

გ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.

ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.

ი. ტერ-ოგაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.

ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საშვილოსნო.

ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.

ტ. განჟუმოვი 11—12. ქალთა საშვ. „606" და „914" ყოველ დღე.

რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხანაძე. ((2937—თ.)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუტინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუმურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914". (2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებიანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2 ე სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) და ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2649—თ.)

ექიმი არუთინოვი.

დაიწყო ავადმყოფების მიღება. დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოს 5—6 ნახ. საათ. ვენერიული სნეულებათა: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები „606" და „914" შეზხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 2816)

ექიმი იმ. ბოკერია

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

ექიმი ქ. ტუმშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ბ. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობის, [illegible] [illegible] იღებს ახალ [illegible] ქიმიო-[illegible] [illegible] [illegible] [illegible] ნოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი დ. მ. ჯაშაშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662)

ქალ. სამტრედიაში

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ა. ლ[illegible]

შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჟების ავადმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № [illegible] გოლოვინისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ოზურგეთში

ექიმი ხ. გ. ახაშიძე

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებით, ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914" და „606" შეზხაპუნებით. კ. სიამაიშვილის სახლში.

ექიმი [illegible]

[illegible] სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—[illegible] საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8 [illegible] აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible]

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საშვილოსნო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—2[illegible]

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფ. საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.




(ნ. 3—3)